

რევაზ ლორთქიფანიძე

Revaz Lordkipanidze

Реваз Лордкипанидзе

ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული,
პოლიტიკური და თეორიული
საფუძვლების შესახებ

ABOUT THE CHRISTIAN, POLITICAL AND THEORETICAL
BASES OF ECONOMIC GROWTH

О ХРИСТИАНСКОЙ, ПОЛИТИЧЕСКИХ И ТЕОРЕТИЧЕСКИХ
ОСНОВАХ ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА

თბილისი

Tbilisi

Тбилиси

2 0 1 3

რევაზ ლორთქიფანიძის მონოგრაფია “ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ” წარმოადგენს 2005 წელს გამოცემული წიგნის გაუმჯობესებულ (ეკონომიკური კონკურენციის საკითხზე ავტორის უახლესი მეცნიერული შრომით შევსებულ) ვარიანტს. წიგნი მომზადდა ქვაშვეთის ეკლესიაში მოღვაწე დეკანოზ ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევითა და სულიერი მხარდაჭერით. განკუთვნილია ეკონომიქსის, მსოფლიო ეკონომიკისა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ქრისტიანული საფუძვლების საკითხებით დაინტერესებული საზოგადოებრიობისათვის.

რედაქტორ-რეცენზენტები:

ეკონომიკის დოქტორი ნათია თურნავა

ეკონომიკის დოქტორი გიორგი შიხაშვილი

ეკონომიკის დოქტორი დავით ჩლაიძე

წიგნი გამოიცა ავტორის დანაზოგებით

აკადემიკოს ავთანდილ გუნიას სახელობის ბიზნესის აკადემიის მიერ

(გამიზნულია ქველმოქმედებისათვის)

ISBN 978-9941-0-5303-0

§ 1. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული

საფუძვლების საკითხისათვის

ადამიანის სულ უფრო დაძაბული ყოფაცხოვრებისათვის აუცილებელი გარკვეული სასარგებლო ტემპით ეკონომიკური ზრდა საგანგაშოდ უაზრო გახდება სულიერი სამყაროს სწორად შეცნობის გარეშე. თავის მხრივ, ეკონომიკური მართვის მექანიზმების პრაქტიკაში სრულყოფილად რეალიზება და, შესაბამისად, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება სულიერი მრწამსის საფუძვლების უკეთ შეცნობაშიც დაგვეხმარება. მიწიერ ცხოვრებაში ეკონომიკის მნიშვნელობა უხვად დასტურდება თავად ბიბლიური წყაროებიდანაც.

ეკონომიკა, რომელიც მრავალი ადამიანის (კერძო ინდივიდის) საქმიანობის განმაზოგადებელ სფეროს წარმოადგენს, განსაკუთრებით მძიმედ განიცდის ტყუილზე აგებული არაკანონიერი – ჩრდილოვანი ეკონომიკის უარყოფით გავლენას. მოუნანიებელი ტყუილის სავალალო შედეგებზე შესანიშნავად მიუნიშნებს **“ივაკი ორ შვილზე”** (იხ. მათეს სახარება, თავი 21 (28–32) [2, გვ. 46-47]: “აბა, რა გგონით თქვენ? ერთ კაცს ორი შვილი ჰყავდა. მივიდა პირველთან და უთხრა: “შვილო წადი დღეს და იმუშავე ვენახში”. მან კი უპასუხა: “არ

მინდა:.. ბოლოს კი ინანა და წავიდა. მივიდა მეორესთან და იგივე უთხრა, მან კი პასუხად უთხრა: “წავალ ბატონო”, მაგრამ არ წავიდა. ამ ორთაგან რომელმა შეასრულა თავისი მამის ნება?” მიუგეს მას: “პირველმა”. უთხრა მათ იესომ: “ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ, რომ მებაჟეები და მეძავეები თქვენზე წინ შევლენ ღმერთის სასუფეველში (ლუკ. 7,29). ვინაიდან მოვიდა თქვენთან იოანე სიმართლის გზით და არ ერწმუნეთ მას, ხოლო მებაჟეები და მეძავეები ერწმუნენ მას, თქვენ კი იხილეთ ეს და მაინც არ მონანიეთ, რათა გერწმუნათ იგი (ლუკ. 3,12)”.

სიმართლესთან (ბუნებით ბოძებულ და კანონით განმტკიცებულ წესიერებასთან) ერთად, ეკონომიკის განვითარების საფუძველთა საფუძველს საკუთარი უპირატესობების ეფექტიანად და სინდისიერად გამოყენება წარმოადგენს. ვფიქრობ, აღნიშნულის უტყუარი დასტურია იგავი “ბოროტეული მევენახეები”, რომელიც მომყავს უცვლელად, მკითხველის შემდგომი ღრმა განსჯისათვის: “იყო ერთი სახლის პატრონი, რომელმაც გააშენა ვენახი, გარს ღობე შემოავლო, შიგნით საწნახელი ამოკვეთა და კოშკი ააგო, მევენახეებს ჩააბარა და წავიდა. რთველი რომ მოახლოვდა, თავისი მონები გაუგზავნა მევენახეებს მისი ნაყოფის მისაღებად. მევენახეებმა შეიპყრეს მისი მონები, ერთნი

სცემეს, მეორენი დახოცეს და სხვა ჩაქოლეს. კიდეც გაუგზავნა სხვა მონები, უწინდელზე მეტი; იმათაც ასევე მოექცნენ. ბოლოს თავისი ძე გაგზავნა მათთან და თქვა: ჩემი ძისა მოერიდებათო. მაგრამ მევენახეებმა ძე რომ დაინახეს, ერთმანეთს უთხრეს: ეს შემკვიდრეა; მოდით, მოვკლათ იგი და დავისაკუთროთ მისი სამკვიდრებელი! შეიპყრეს იგი, გააგდეს ვენახის მიღმა და მოკლეს. აბა, როცა ვენახის პატრონი მოვა, რას უზამს ამ მევენახეებს? მიუგეს მას: ამ ბოროტეულთ ბოროტად დახოცავს და ვენახს გადასცემს სხვა მევენახეებს, რომლებიც ნაყოფს თავის ღროზე მისცემენ. უთხრა მათ იესომ: ნუთუ არასოდეს არ წაგიკითხავთ წერილებში: ლოდი, რომელიც მშენებლებმა დაიწუნეს, ქვაკუთხედად იქცა. უფლისგან მოხდა ეს და საოცარია ჩვენს თვალში? მიტომ გეუბნებით თქვენ, რომ წაგერთმევათ თქვენ ღვთის სასუფეველი და მიეცემა ერს, რომელიც გამოიღებს მის ნაყოფს. ის, ვინც ამ ლოდზე დაეცემა, დაილეწება; ხოლო ვისაც ის დაეცემა, გასრესს. მღვდელმთავრებმა და ფარისევლებმა იგავი რომ მოისმინეს, მიხვდნენ, რომ მათზე ამბობდა. ცდილობდნენ მის შეპყრობას, მაგრამ ხალხისა ეშინოდათ, ვინაიდან წინასწარმეტყველად მიაჩნდათ იგი” [2, გვ.47].

დარწმუნებული ვარ დამეთანხმებით, რომ ღვთის მიერ ადამიანი უფუნქციოდ არაა მოვლენილი მიწიერ ცხოვრებაში. მეურნე ადამიანის ერთ-ერთ დანიშნულებად მეურნეობრივი (ოჯახის, საწარმოსა, თუ სახელმწიფოს დონეზე) თადარიგის დროულად (გეგმიურად) დაჭერა უნდა მოვიაზროთ და, შესაბამისად, მხოლოდ ღვთისა და თავისუფალი ბაზრის მომლოდინედ და მოიძებედ ყოფნა, უეჭველად, არასაკმარისია.

ნათქვამს ისევ ბიბლიური თხზულების “იგავი ათ ქალწულზე” ჭეშმარიტებით განვამტკიცებ:

“მაშინ ცათა სასუფეველი დაემსგავსება ათ ქალწულს, რომელთაც აიღეს თავიანთი ლამპრები და გამოვიდნენ ნეფის შესახვედრად. ხუთი მათგანი უგუნური იყო და ხუთი – გონიერი. უგუნურებმა თავიანთი ლამპრები რომ აიღეს, ზეთი არ გაიყოლეს თან. ხოლო გონიერებმა თავიანთ ლამპრებთან ერთად ზეთიც გაიყოლეს ჭურჭლებით. ნეფემ რომ შეიგვიანა, ყველას ჩათვლიმა და დაეძინა. მაგრამ შუადამისას გაისმა ყვირილი: აჰა, ნეფე მოდის, გამოდით შესაგებებლად! მაშინ წამოდგა ყველა ქალწული და გამართეს თავ-თავისი ლამპრები. უგუნურებმა უთხრეს გონიერებს: გვიწილადეთ თქვენი ზეთისაგან, ვინაიდან ლამპრები გვიქრება. გონიერებმა კი მიუგეს პასუხად: არც ჩვენ რომ არ დაგვაკლდეს და არც თქვენ, უძჯობესია წახვიდეთ

ვაჭრებთან და იყიდოთ თქვენთვის. როცა ისინი წავიდნენ საყიდლად, მოვიდა ნეფე; გამზადებულნი მასთან ერთად შევიდნენ ქორწილში და კარიც დაიკეტა. შემდეგ მოვიდნენ დანარჩენი ქალწულებიც და თქვეს: უფალო, უფალო, გაგვიღე ჩვენ. ხოლო მან მიუგო პასუხად: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: არ გიცნობთ! ჰოდა, იფხიზლეთ, ვინაიდან არ იცით არც დღე, არც საათი, როდის მოვა კაცის ძე” [2, გვ. 55-56].

ეკონომიკის მართვის საკითხებზე მეტად საჭირო მოძღვრება ყალიბდება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს ქადაგებებში, რომლებიც, მისი შექმნილი უნიკალური ხატებივით, ნათლად სახავენ ჩვენი საქმიანობის მთავარ მიმართულებებს. პატრიარქი ხშირად ქადაგებს არ შევუშინდეთ ინტერნეტსა და საერთოდ გლობალიზაციას და, პირიქით, სასარგებლოდ გამოვიყენოთ მათი მიღწევები. მის სწავლებაში მარტივიცა და რთულიც გასაგებადაა მოცემული და უმთავრესისაკენ მიზანმიმართული სვლა ყოველთვის ზედმიწევნით ლოგიკურია. იგი აღნიშნავს ეკონომიკისა და პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტებზე: “ჩემს ეპისტოლეებში ხშირად ვსაუბრობ მცირე და საშუალო ბიზნესის შესახებ... ეკონომიკური პრობლემები ღრმა აზროვნებით და დიდი შრომით უნდა

გადავწყვიტოთ. უცხოეთიდან მიღებული რჩევების მხოლოდ ნაწილი შეიძლება იყოს გამოსადეგი, რადგან ის ქართულ ნიადაგსაა მოწყვეტილი. ახალგაზრდებმა უნდა მიიღონ განათლება საზღვარგარეთ, მაგრამ უნდა გაიგზავნოს ის, ვინც მყარად დგას ქართულ ნიადაგზე” [5, გვ. 292-294]; “სახელმიფომ უნდა დაარსოს მცირე ბიზნესის შემსწავლელი სკოლებიც და თუ იქ უცხოეთიდან მოწვეული გამოცდილი სპეციალისტები წაიკითხავენ ლექციებს, ეს მალე დიდ შედეგს მოგვცემს... მეცნიერება და ტექნიკა თავისთავად ბოროტების მომტანი არ არის, თუ ის მორწმუნე, კეთილი ადამიანის ხელშია... ყველა ქვეყანას საკუთარი დემოკრატიული წყობა უნდა ჰქონდეს დაფუძნებული ეროვნულ ტრადიციებზე, კულტურაზე, აზროვნებაზე... ევროპისაგან ძალიან ბევრი უნდა ვისწავლოთ, მაგრამ ვიმეორებ, არ უნდა დავკარგოთ ის ჩვენი ტრადიციული, რაც ჭეშმარიტად ღირებულია და ამასთან მათთვისაც მისაბაძია და დასაფასებელი” [6, გვ. 34-35].

თანამედროვე პრობლემებმა არ უნდა მოგვწყვიტონ ისტორიულ ფესვებსა და საბოლოო ჯამში ობიექტურ ჭეშმარიტებას. ბიბლიის ერთ-ერთ რუსულ გამოცემას საინტერესო განზოგადება აქვს დართული ფულის მიმოქცევის თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ფული მრავალი

განხეთქილების საწყისი გამხდარა, მის გონივრულად გამოყენებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება – ფულთან, მაღალზნობრივის გარდა, ფაქტიურად ხომ ყველაფერია დაკავშირებული. ბიბლიის რუსულ გამოცემაში განზოგადებულია, რომ "В книгах Нового Завета упоминается десять видов монет: одна монета иудейской чеканки, пять – греческой и четыре – римской... Динарий составлял ежедневную плату римскому войну, как драхма – ежедневную плату афинским воинам. Он же составлял обычную поденную плату рабочим (Мф. 20, 2). Динарию же равнялась поголовная подать, которую иудеи обязаны были платить римлянам (Мф. 22, 19)" [3, გვ. 1376].

ფულის დაგროვების კვალობაზე, უნდა იზრდებოდეს მისი განაწილების სარგებლიანობაც ღვთისა და გაჭირვებული ხალხის სამსახურში. "უფალი გვაფრთხილებს არა მხოლოდ უშუალოდ ბოროტების ჩადენას მოვერიდოთ, არამედ ყოველივე იმას, რასაც შეუძლია ღმერთს დაგვაშოროს, სახელდობრ ზედმეტ გართობასა და საზრუნავებს. მაგალითად უფალი გვისახავს სიამტკბილობას მიცემულ მდიდარს; იგი ვერც კი ამჩნევს გლახაკ ლაზარეს, რომელიც მის გვერდით იტანჯება" [7, გვ. 119].

"По наиболее древнему и принятому объяснению, Религия есть взаимоотношение между Богом и человеком" [4, გვ. 510] და იმდენად, რამდენადაც ადამიანთა ურთიერთობების ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა ეკონომიკაა, რელიგიის გაგება, ბუნებრივია, მნიშვნელოვანწილად ეკონომიკის არსის წვდომასაც ითვალისწინებს.

წინამდებარე ნაშრომზე მუშაობისას, ღვთის ნებით, გამოიცა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს კურთხევითა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის მიერ რეცენზირებული "ახალი აღთქუმაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი"-ს მეტად სრულყოფილი რედაქცია (მინიშნებები აღნიშნული რედაქციის მიხედვით დაზუსტდა, თანამედროვე ქართული საერო დამწერლობის შესატყვისებით), რომელიც, ბუნებრივია, უფრო სარწმუნოს ხდის გამოთქმულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

ხშირია შემთხვევები, როცა ღმერთს დაშორებული ადამიანი დიდ ფულსა და სხვა უძრავ-მოძრავ ქონებას შოულობს, მაგრამ მისი მაგალითი მხოლოდ დამლუპველი ხდება მიმბაძველისათვის.

დაფიქრებული ადამიანი ადვილად მიმოიხილავს ასეთი შემთხვევების

(ზოგჯერ საკმაოდ ხანგრძლივი) სავალალო შედეგებს როგორც ხილულ წუთისოფელში, ასევე, დარწმუნებული ვარ, სამუდამო მდგომარეობაში. მართლაც, “მამასა უყვარს ძე და ყოველივე მოსცა ხელთა მისთა. რომელსა ჰრწმუნეს ძე, აქუნდეს ცხორებაი საუკუნოი, ხოლო რომელნი ურჩ იყოს ძისა, არა იხილოს ცხორებაი, არამედ რისხვაი ღმრთისაი დადგრომილ არს მის ზედა” ([1, გვ. 228]: სახარებაი იოვანესი, თავი 2, 35-36) და ჭეშმარიტად ველით, რომ “რომელი წამებს ამას: ჰე მოვალ ადრე! ამინ. ჰე, მოვიდოდე, უფალო იესუ! მაღლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი ყოველთა წმიდათა თანა” (იგივე წყარო, გვერდი 638: გამოცხადებაი, თავი 22, 20-21).

ხორეზმის შაჰის – ჯალალ ად-დინის მიერ 1226 წელს წამებული ასი ათასი ქართველის ხსენების დღეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი – ილია II ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძარში წარმოთქმულ ჭეშმარიტი სულიერების მაძლიერებელ ქადაგებაში აღნიშნავს, რომ “ძნელი სათქმელია, დღესასწაულია ეს დღე ქართველთათვის, თუ გლოვაა. ეკლესიისთვის ეს დღე სულიერი გაბრწყინებაა! შეიძლება ზოგიერთისთვის ეს მწუხარება იყოს, ჩვენთვის არის სიხარული, იმიტომ, რომ ეს 100 ათასი ქართველი მოწამე შეემატა ზეციურ მხედრიონს, რომელიც

იცავს მიწიერ საქართველოს, ხილულ და უხილავ მტერთაგან” (საპატრიარქოს უწყებანი, №347, გვ. 4-5). ნამდვილად, ასეთი დღეები ხომ გმირების ხსენების ერთგვარი დღესასწაულებია, რასაც მწუხრისშემდგომი ქმედებები და, შესაბამისად, სასიხარულო გამარჯვებები უნდა მოჰყვეს. ეკონომიკაშიც, რომელსაც სხვადასხვა ამპლიტუდით კანონზომიერი ციკლორობა ახასიათებს, დიდი და მცირე კრიზისების გაკვეთილები ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის უნდა გამოვიყენოთ. ჩემთვის შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ მნიშვნელოვან დღეს მივიღე ქაშუეთის ეკლესიაში მოძღვრის კურთხევა იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატზე, რომელსაც წმინდა მიწაც ახლავს. შემდგომ, ამავე დღეს, სამების ტაძარში გადმომცეს “Лист оливы и Святая земля – Благословение Казанской Божей Матери Святого Града Иерусалима”. ორივე სიწმინდე, ჩემი ღრმა რწმენით, ღვთისმშობლის წილხვედრ ქართულ მიწაზე დიდი და მცირე ხალხების უაღრესად საჭირო მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის გამრავლების საფუძველთა საფუძველს წარმოადგენს.

თეოლოგები, ისტორიკოსები და საერთაშორისო ეკონომიკაზე ჭეშმარიტად დაფიქრებული საზოგადოებრიობა, დარწმუნებული ვარ,

ერთსულოვანია, რომ სახელმწიფოებრიობის განვითარების ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს ეკონომიკის გონივრულად მართვა წარმოადგენს, რაც, უპირველესად, მასზე არასასურველი გავლენის მინიმიზებასა და თავისუფალი საბაზრო საწყისების გაძლიერებას გულისხმობს. თავის მხრივ, ჩვენი ღრმა რწმენით, თავისუფალი ბაზარი ეკონომიკაში უფლის ჭეშმარიტი ნების აღიარებას უნდა წარმოადგენდეს.

დაწყებული ეკონომიკური ზრდის მიმდინარე ეტაპზე დისკუსიურია, მაგრამ უახლოეს პერსპექტივაში, ვფიქრობ, შესაძლებელი და ძალზე მაღალეფექტური იქნება მსოფლიო პრაქტიკაში აპრობირებული თავისუფალი ეკონომიკური ზონების მექანიზმების ამოქმედება ადამიანებისა და ტვირთების ნაკადებით გამორჩეულ სატრანსპორტო კვანძებში, კერძოდ, ცნობილი პორტო, სარკინიგზო და აეროფრანკოების, ტურისტული სერვისის, ოფშორული, თუ ინვესტიციებისათვის მიმზიდველი სხვა ზონების სახით, რაც, ღმერთით, კიდევ უფრო გააძლიერებს ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოს ბუნების სილამაზით დაინტერესებული კაპიტალის მოსალოდნელ მოდინებას.

ეკონომიკის ზოგადი თვალთახედვით, სულ უფრო მზარდი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში, საარსებო შემოსავლების

ზრდის ინტერესი სასიცოცხლოდ ინსტიტუტურია. აღნიშნული ინტერესი, მსოფლიოში გაუგონარი მასშტაბების კომუნისტური იმპერიის (რომელშიც, საბედნიეროდ, მნიშვნელოვანწილად შენარჩუნებული იყო ღვთის სახალხო, ხშირ შემთხვევაში, ფარული სიყვარული და სასიკეთო ძალების მოქმედება) რღვევის შედეგად გაჩენილი კონფლიქტური (დარწმუნებული ვართ, დროებით) ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის არაბუნებრივი დაქსაქსულობისა და საერთობიექტური სირთულეების გამო, სხვა ეკონომიკური კავშირების მოქმედების მიუხედავად, მნიშვნელოვანწილად დაუკმაყოფილებელი რჩება. შესაბამისად, მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული ეკონომიკური და საერთოპოლიტიკური კრიზისის მოქმედება არნახულად ხანგრძლივდება.

კონფლიქტური ჭრილობების ქრისტესმიერი მორიგებით განკურნება, დაახლოებით ერთიათად გაზრდის მარტო რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მიმართულებებით ტვირთნაკადებიდან შემოსავლებს (ღმერთით, თუ არ გაჩნდება სხვა ფარული, თუ ხილული პრობლემები), განვითარდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, რაც ტურიზმზე, სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობაზეც იმოქმედებს თითქმის ანალოგიური

მასშტაბებით, რაც, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად ამაღლებს დასაქმებისა და, საერთო ჯამში, ცხოვრების დონეს მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ საკვანძო უბანზე, რომლის მძიმე კრიზისის მაგალითი, ვფიქრობთ, სასწავლებელია მოკეთებისა და სხვებისათვისაც.

§ 2. ეკონომიკაზე პოლიტიკის გავლენის შესახებ: თანამედროვე

პრაქტიკისა და თეორიის საკითხები

გვინდა თუ არ გვინდა, პოლიტიკა განუზომლად დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკაზე. ზოგი თვლის, რომ ეკონომიკაა პოლიტიკის საფუძველი, ზოგიც კი პირიქით – პოლიტიკის განმსაზღვრელ მნიშვნელობაზე მიუთითებს. ისეა, თუ ასე, საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ორივე ასპექტი დიდ გავლენას ახდენს ერთმანეთზე. უბრალოდ, ეკონომიკა მეტად ინერციულია და მისი რეფორმირება, ბუნებრივია, უფრო რთულია პოლიტიკურ ცვლილებებთან შედარებით. ასე იყო პირველყოფილ თემებშიც, მონათმფლობელობის პერიოდშიც და კომუნისტურ მმართველობაშიც. ასეა დღესაც, მ.შ. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების ცივილიზებულ საბაზრო ურთიერთობებშიც.

ყველა ეპოქას თავისი წვლილი შეაქვს კაცობრიობის სასიკეთო პროგრესში. კომუნისტურმა ეპოქამაც კი, რომელიც სისასტიკითა და მუშათა შენიღბული უკანონო დიქტატურით იყო აღზევებული, ბევრი სასიკეთო მოასწრო ტექნიკური პროგრესისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეში. უფალი ყველას აძლევს არჩევანის საშუალებას. მე-20 საუკუნის ცნობილი ქართველი პოლიტიკოსებიც –

ი. სტალინი, ე. შევარდნაძე და ზ. გამსახურდია, რომელთა დაკავშირებით დღესაც არ ცხრება დისკუსიები, შესაბამის ეპოქათა სირთულეების მიუხედავად, ბევრი სასიკეთოს მოსწრებას ახერხებენ.

თანამედროვე ანტიტერორისტული ძალისხმევა მსოფლიოში სიკეთის ძალების კონსოლიდაციის აუცილებლობას განაპირობებს. ტერორიზმის, ცივი ომისა და ათეიზმის ურთულესი გამოვლინებების დაძლევა ძალზე რთული აღმოჩნდა ახალი და ყოფილი ხელმძღვანელებისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში (ბ. ობამა, ჯ. ბუში, ბ. კლინტონი) და ახლა უკვე ქრისტიანულ რუსეთის ფედერაციასა (ვ. პუტინი, დ. მედვედევი, ბ. ელცინი) და პატარა საქართველოში (ბ. ივანიშვილი, მ. სააკაშვილი), იმ განსხვავებით, რომ დემოკრატიული მოწყობის დიდი გამოცდილებით, აშშ სამხედრო-პოლიტიკური სტაბილურობის სულ უფრო მეტად ცივილურ მაგალითებს იძლევა. დაწყებული ახალი პროგრესული ძვრების საფუძველზე რუსეთის ურთიერთობებში ნატოსთან, დარწმუნებული ვარ, რომ მალე, ახალი ღვთისნიერი მიდგომებით პოლიტიკაში, საქართველოსა და რუსეთის ხანგრძლივი მშვიდობიანი თანამშრომლობის დროც დადგება და მეორე მსოფლიო ომის მოკავშირეობის მაგალითით, ღმერთით, ღვთისმშობლის წილხვედრი

პოლიტიკურად განთავისუფლებული მრავალჭირნახული საქართველო, ეკონომიკურადაც მალე გაბრწყინდება და ევროპის ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების რიგში ჩადგება.

როგორც ცნობილია, ეკონომიკური თეორიის აღიარებული კლასიკოსი ადამ სმითი ცნობილ „თვითრეგულირების“ მიდგომას ანვითარებს, აკონკრეტებს „უხილავი ხელის“, „თავისუფალი კონკურენციის“, „კერძო ინსტიტუტების“, „შრომის დანაწილებისა“ და ყოველგვარი დირექტიული გეგმიურის საწინააღმდეგო პლატფორმებს. მას მიაჩნია, რომ მთავრობის შეცდომებმა ძალზე დიდ დანაკარგებთან შეიძლება მიგვიყვანონ, ამდენად, სახელმწიფოს ჩარევა მინიმალური უნდა იყოს. ადამ სმითს ხშირად ფიზიკოს ნიუტონს ადარებენ, მისი „თვითრეგულირების“ მიდგომის მნიშვნელობას კი აღნიშნული გენიალური ფიზიკოსის მექანიკის კანონების გენერალიზებულ მიდგომას (აქ და შემდეგში არ შევჩერდებით უცხოელი და ქართველი ეკონომისტების ზოგიერთი ცნობილი მიდგომის დეტალურ ანალიზზე, რომელთა მიმოხილვა და მათთან დაკავშირებულ საკითხებზე ავტორისეული დასკვნების შესახებ უფრო დეტალურად შესაძლებელია იხილოთ შედარებით ახლადგამოქვეყნებულ მინიშნებულ გამოყენებულ წყაროებში №31 და 32).

დაწყებული ამ დროებიდან, დასაბამი ეძლევა მუდმივ მწვავე დისკუსიას: პოლიტიკური ეკონომია, თუ ეკონომიკური პოლიტიკა და ეკონომიქსი; პოლიტიკის საყოველთაო ჩარევა, თუ ზომიერი რეგულირება და თვითრეგულირება?

ეკონომიკის მეორე აღიარებული კლასიკოსი დავით რიკარდო, თ. მალთუსის ომების გარდაუვალობის თეორიის მსგავსად, შემცირებადი შემოსავლიანობის თეორიას ანვითარებს, რომლის თანახმადაც, მზარდმა მიწის რენტამ, შესაძლოა, ეკონომიკის ნგრევა გამოიწვიოს. შემდგომმა მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციებმა არ დაადასტურეს აღნიშნული ვარაუდი: განვითარებული ქვეყნების სინამდვილეში მიწის რენტა სტაბილურად მშპ-ის მხოლოდ 5%-ის მახლობლობაში დაფიქსირდა.

რიკარდო, დიდი სმითისა და სეის კვალში, მაინც თვითრეგულირების მომხრედ მოიაზრება და მის ისტორიულ დამსახურებად „შრომის ღირებულებითი“ (ან ზოგიერთი რედაქციით „ღირებულების შრომითი“) თეორიის ფორმალიზება ითვლება, რომლის მიხედვით, ფასების განსაზღვრის მთავარ კრიტერიუმად პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები უნდა ჩაითვალოს.

გამოჩენილი ეკონომისტ-ისტორიკოსის ი. შუმპეტერის ცნობილი სუბიექტური აზრით, ყველა დროის ყველაზე უდიდეს ეკონომისტს, საბოლოო ჯამში, შვეიცარიელი ლ. ვალრასი (1834–1910 წლები) წარმოადგენს, რომელმაც ე.წ. „წონასწორობის“ თეორია შეიმუშავა. ფასების განსაზღვრის ხარჯვითი მექანიზმი სარგებლიანობით შეივსო: სხვა საქმეა დახარჯო და აწარმოო, საპირისპირო კი – ვის გამოადგება და რა ზომით. შესაბამისად, ამ დროიდან, მოთხოვნისა და წარმოების წონასწორობით დამყარებული ფასი სწორედ ის ოპტიმალური მდგომარეობა გახდა, რაც ბაზრის ეფექტიანი მოქმედების ყველაზე ხელსაყრელ პირობებს იძლევა.

საერთო კონკურენტული წონასწორობის თეორიას მისი შექმნის ეპოქაში, ავსებენ და ნაწილობრივ ოპონირებენ ვ. ჯევონსი (ინგლისი, 1835–1882 წლები), კ. მენგერი (ავსტრია, 1840–1921 წლები), ცნობილი მიკროეკონომისტი ა. მარშალი (ინგლისი, 1842–1924 წლები), ეკონომეტრიკოსი ვ. პარეტო და სხვანი.

შემდგომში, ზომიერი რეგულირების ეკონომიკურ პრობლემათა კვლევაში განსაკუთრებით მისანიშნებელია გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის ა. პიგუსა და, რა თქმა უნდა, ჯ. მ. ქეინზის როლი.

ა. პიგუ თავის „კეთილდღეობის“ თეორიაში დასკვნის სახით ხაზს უსვამს სამ უმთავრეს პრიორიტეტს: 1) მინიმალური ჩარევის პოლიტიკა; 2) მოსახლეობის კეთილდღეობა; 3) წარმოების ეფექტიანობა. ამასთან, პიგუ ფასის ცვლილების განსაზღვრის ორიგინალურ მეთოდს გვთავაზობს, რომლის მიხედვით, ფასის ცვლილება გადასახადის ცვლილების ადეკვატური შეიძლება იყოს.

ქეინზი აღიარებს რა პიგუს დიდ დამსახურებას, კრიტიკულად აფასებს მისი მინიმალური „ჩარევის“ პოლიტიკას. დიდი დეპრესიის წლებმა გვიჩვენეს, რომ გარკვეულ პერიოდებში სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება.

ამასვე ადასტურებს მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო ხარჯების წილის განუხრელი ზრდის კანონზომიერება 1888–1998 წლებში, რომელიც ცნობილმა ქართველმა ეკონომისტმა ნ. ჭითანავამ განაზოგადა: აშშ–ში აღნიშნული წილი 8–დან 33,1%–მდე გაიზარდა, შვეციაში 6–დან 60,8%–მდე, გერმანიაში 10–დან 47,4%–მდე, ინგლისში 10–დან 39,7%–მდე, იაპონიაში 11–დან 35,1%–მდე, საფრანგეთში 15–დან 53,1%–მდე (როგორც აღვნიშნეთ, აქ და შემდეგში ნასარგებლები თეორიულ-სტატისტიკური მასალის შესახებ იხილეთ გამოყენებულ წყაროებში №31 და 32).

სხვადასხვა თვალთახედვით, სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელობაზე წერენ ცნობილი ქართველი მეცნიერები – ფ. გოგიჩაიშვილი, პ. გუგუშვილი, ა. გუნია, ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ლ. ჩიქავა, ვ. ახალაია, რ. აბესაძე, გ. ადგიშვილი, ვ. ადვაძე, რ. ასათიანი, ე. ბარათაშვილი, თ. ბერიძე, გ. გამსახურდია, რ. გოცირიძე, ნ. თურნავა, ო. კანდელაკი, პ. ლეიაშვილი, ი. მესხია, ე. მექვაბიშვილი, ნ. პაიჭაძე, ს. ჩოჩიშვილი, გ. წერეთელი, მ. ჯიბუტი, პოსტსაბჭოთა მეცნიერები – ლ. აბალკინი, დ. ლვოვი, ს. შატალინი, დ. სოროკინი, ნ. კუზნეცოვა, მ. შიშკინი, ს. სუტირინი, ვ. რიაზანოვი, მ. კროტოვი, ე. სტროევი, ა. ბლიახმანი, ა. კაზაკოვი, ვ. ლომაკინი, გ. ოვჩინიკოვი და სხვანი. პრაქტიკული წინადადებები, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მისაღები რჩევების გათვალისწინებით, მუშავდება საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პროფილის კომიტეტებსა და ეკონომიკური განვითარებისა და ფინანსთა სამინისტროებში.

თანამედროვე ეპოქაში გაჩნდა ახალი მემარცხენეების უკიდურესი რეგულირების პლატფორმაც, რომლის მიხედვით შვედი ეკონომისტი ა. ლინდბეკი ასაბუთებს სახელმწიფო რეგულირების პრიმატს ზემოაღნიშნული 60%-იანი წილის შესაბამისად. ჩემი აზრით,

სახელმწიფო ხარჯები 30–50%–ს ღიაპაზონში შეიძლება იცვლებოდეს, მაგრამ არაფრით უფრო მეტი, რადგანაც, შემდგომ, უკვე მონოპოლიზმისა და ჰიპერტროფიის საშიშროება შეიძლება გაჩნდეს.

ეკონომიკური პოლიტიკის სრულფასოვნების გასაძლიერებლად, ჩემს მიერ შემოთავაზებულია „წონასწორული“ თეორიის მოთხოვნა–მიწოდების მოდელის დამატებითი (ან უფრო სწორად წონასწორობის დამაფიქსირებელი) ე.წ. „გამაწონასწორებელი ღერძი“ (გასაგებად რომ ვთქვათ, მოთხოვნა–მიწოდების ”სასწორის“ თეფშების ერთგვარი საკიდი), რომელიც მოთხოვნა–მიწოდების წონასწორობის წერტილში ვერტიკალს უახლოვდება. უხეში შედარებისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ქეინზის მოდელის ცნობილი თანამედროვე ვერსია IS-LM-BP (იხილეთ გამოყენებული წყარო №21), სადაც ვალუტის განმსაზღვრელი მრუდი, ეროვნული ფულის მრუდთან შედარებით, ნაკლები მგრძნობელობით ხასიათდება და ჰორიზონტალს უახლოვდება. თანამედროვე ეპოქაში, ევროკავშირის უმრავლესი ქვეყნებისათვის, ეროვნული ფულის არარსებობის გამო, BP და LM მრუდები ფაქტიურად იდენტური ხდება. მაგრამ, ქეინზის აღნიშნული მოდელი აქტუალობას არ კარგავს ევროსა და დოლარის მარაგების ურთიერთობის ასპექტში (საგადასახდელო დაბალანსების

თვალსაზრისით). ბუნებრივია, BP მრუდის ჰორიზონტალთან დაახლოება თეორიული (გასაშუალებული) დაშვებაა და შესაძლოა, გარკვეულ შემთხვევაში, უფრო ნაკლებმგრძობელობით LM მრუდი ხასიათდებოდეს.

ზემოხსენებული „გამაწონასწორებელი ღერძი“ ფასების ფარდობითობის აღსაწერად შემომაქვს, „ფარდობითობის“ ტერმინი კი – ცნობილი ფიზიკოსის აინშტაინის საპატივცემულოდ, რომელმაც ახლებურად გაიაზრა ნიუტონის მექანიკის კანონები და მასის ზრდის მიმართულებით ცვლილების იდეა შემოგვთავაზა მზარდი მაღალი სიჩქარეებით მოძრაობის პირობებში.

„გამაწონასწორებელი ღერძის“ მოქმედება მხოლოდ ღვთის ნებით შეიძლება აიხსნას. როცა ფასები და პროდუქციის მნიშვნელობა უსასრულოდ (პირობითად) იზრდება, ბუნებრივია, წარმოებაც, ანალოგიურად, პროდუქციის გამოყენების დროის ხანგრძლივობის შესაბამისად, თეორიულად უსასრულობამდე შეიძლება გაიზარდოს, პრაქტიკულად – ძალზე დიდი მასშტაბები მიიღოს. შედეგად, წონასწორული ფასები შემცირდება, ხოლო შემოსავლები, საბოლოო ჯამში, არსებითად იმატებს.

საწყის მდგომარეობაში, მიწოდება, ბუნებრივია, მცირეა. ამასთან, შედარებით მცირეა შესაბამისი ხარჯებიც. ვთქვათ, კომპიუტერი ან სხვა გენიალური აღმოჩენა შეიძლება კონკრეტული ადამიანის რამდენიმე წლის შრომის შედეგად იქმნებოდეს, მაგრამ მიღებული ეფექტი მომავალში თაობებს ასაზრდოებლეს უაღრესად საჭირო განუზომელი შედეგებით.

ბუნებრივია, დასაწყისში, მოთხოვნილება არსებულ ტექნიკურ აღმოჩენაზე საერთოდ არ იქნება (თუმცა ქვეცნობიერად მოთხოვნილებაც შეიძლება ღვივდებოდეს), რადგან მოსახლეობა არ იცნობს ინოვაციური პროდუქციის ჩანაფიქრს. მაგრამ, შემდგომ, მოთხოვნილებები არსებითად იზრდება და, შესაბამისად, ხელი ეწყობა გადახდისუნარიანი მოთხოვნა–მიწოდების სტაბილურ და ხანგრძლივ წონასწორობას.

„გამაწონასწორებელი ღერძის“ მოქმედების არეალში უპირველესად შესაძლოა მოხვდნენ კრიზისების შემაჩერებელი და პროგრესის განმსაზღვრელი:

- 1) ქრისტიანული შედეგები;
- 2) უნიკალური ბუნებრივი რესურსები;
- 3) მეცნიერულ–ტექნიკური აღმოჩენები...

მაგალითისათვის, ხატი, რომელიც დროის გარკვეულ მცირე პერიოდში შეიძლება შეიქმნას, შესაძლოა, ღვთის ნებით, სასწაულთმოქმედი გახდეს და მრავალი წლის განმავლობაში ხალხის სულიერ და ხორციელ გამაჯანსაღებელ ინტერესებს ემსახურებოდეს. ასევე, სამაგალითოა, რომ მცირე წონის უნიკალურმა ბუნებრივმა რესურსმა, შესაძლოა, ასევე მცირე პერიოდში დიდი ეფექტის მქონე ეკონომიკური შედეგები მოგვცეს (ვთქვათ, ატომური ენერგეტიკა, საერთოდ mc^2 ენერგია, თუ სხვა).

წარმოდგენილი „გამაწონასწორებელი ღერძის“ („ფასების ფარდობითობის“) მოდელს გარკვეულწილად ავსებს ჩემს მიერ დამატებით შემოთავაზებული „ობიექტური წონასწორული რეალიზმის“ თეორიული მიდგომა, რომლის მიხედვით ურყევ ქრისტიანულ რწმენასთან ერთად, მიწიერი ყოფიერების რეალურ პირობებში, იდეა და მატერია მუდმივ წონასწორობაში განიხილება. არც მათი განცალკევება შეიძლება და ვერც რომელიმე მათგანის მონოპოლიური უპირატესობის დასაბუთებას შევძლებთ. ადამიანი ადამიანია, იგი ღმერთად ვერასოდეს იქცევა და არც ღმერთი ითხოვს მისგან უაზრო ფანატიზმს.

აღნიშნული „რეალიზმის“ მიდგომით, იდეა და მატერია მიწიერ ყოფიერებაში 1:1-თან თანაფარდობის მახლობლობაში იცვლება. ვფიქრობ, ასევე უნდა იცვლებოდეს სახელმწიფო „ჩარევის“ არეალი „თვითრეგულირებასთან“ მიმართებაში, რაც, როგორც აღრე აღნიშნე, მთლიან შიდა პროდუქტში (შემდეგში მშპ) სახელმწიფო ხარჯების 50%-მდე მარჟის დიაპაზონში უნდა მოვიაზროთ.

საქართველოს სინამდვილის გათვალისწინებით, როცა მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების წილი 16-18%-ს ვერ სცილდება, ობიექტური წონასწორული რეალიზმის თეორიით შემოთავაზებული 50%-იანი მარჟა სახელმწიფო სექტორში ხელფასების 3-ჯერ გადიდების (რა თქმა უნდა ეტაპობრივად) საშუალებას მოგვცემს. მაშასადამე, ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი პოტენციური რეზერვებია ასამოქმედებელი, მათ შორის, ბუნებრივია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანწილად აღურიცხავ უხილავ „ჩრდილში“.

თავდაცვისა და სამართალდამცავი სისტემის ფინანსირების მექანიზმის სრულყოფა, ჩვენს მიერ განიხილება, როგორც თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეკონომიკაში ჩრდილოვანი სექტორის შემცირებისა და კეთილდღეობის ამაღლების მთავარი საშუალება.

თანამედროვე საქართველოსათვის მისანიშნებელია, რომ თავდაცვითი პოლიტიკის ხარჯების წილის მიხედვით სახელმწიფო ბიუჯეტში, ქვეყნები შეიძლება დავაჯგუფოთ სამი ღონის მიხედვით: 1) 5%-მდე (ძირითადად ე.წ. „მიუმზრობელი“ ქვეყნები); 2) 5–დან 15%-მდე (ზომიერი ხარჯების ღონე); 3) 15–დან 25%-მდე და უფრო ზევით (ფარული რეაქციული რეჟიმები ან საომარ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნები). საქართველო, რომელიც პოლიტიკურ–კრიმინოგენული სირთულეების გამო ჯერ კიდევ მაღალი რისკის ჯგუფს მიეკუთვნება, სულ ცოტა მეორე ღონის არეალში უნდა მოვიაზროთ, თუმცა ვერადავერ ხერხდება სტაბილურად პირველი ღონის დაძლევაც კი. ამასთან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, ორ–სამჯერ უნდა ამაღლდეს თავად საბიუჯეტო ხარჯების წილი მშპ–ში. საბოლოო ჯამში, აღნიშნული მატება საშუალებას მოგვცემს გავამაგროთ ქვეყნის საზღვრები და მნიშვნელოვანწილად შევამციროდ ჩრდილოვანი სექტორის შემოდინების წყაროები.

არსებითად გვესახება სამართალდამცავი სტრუქტურების ფინანსირების პროგრესული გამოცდილების შესწავლა და გაზიარება. ამ მხრივ, კარგი იქნებოდა, სამთავრობო და საუნივერსიტეტო ჯგუფების უფრო აქტიურად მივლინება სამაგალითო ქვეყნებში.

სახელმწიფო დავალებათა შესრულების კონტროლთან ერთად, ასევე არსებითად მიგვაჩნია ადგილებიდან წამოსული ინციატივებისა და კონკრეტული საპროექტო წინადადებების გათვალისწინების კონტროლი, რათა ამაღლდეს საქართველოში საღი აზრის გამოყენების მარგი ქმედება.

საქართველოს ეკონომიკის სინამდვილეში, კონტროლის მექანიზმები ძირითადად მიმართული უნდა იყოს ჩრდილოვანი ეკონომიკის გამოვლენისა და მისი მასშტაბების მინიმიზებისაკენ. განვითარების თანამედროვე დონის პირობებში განსაკუთრებით აქტუალური ხდება მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პრობლემაც. ამ მიმართებით მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება შეფასდეს მიმდინარე რეფორმები. მცირე ბიზნესის სტიმულირება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დასაქმების გაუმჯობესების თვალსაზრისით აგროსამრეწველო კომპლექსში, სადაც შეიძლება ავამოქმედოთ შრომისუნარიანი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. შიდა საგადასახადო სტიმულები, ბუნებრივია, იმპორტის რეგულირების სრულყოფილი მექანიზმებით უნდა შეივსოს. დაბალი ხარისხის სასოფლო-სამეურნეო იმპორტის შეზღუდვა საშუალებას მოგვცემს მნიშვნელოვანწილად ავამაღლოთ წარმოება სამამულო აგროსამრეწველო დარგებში, რაც

კეთილდღეობის ამაღლების უცილობელი წინაპირობაა. ჩვენი გათვლებით, მომავალში, მცირე ბიზნესის დაბეგვრა შემოსავლის 3%-ის დონემდე შეიძლება დაეწიოს, რაც ოპტიმალური განაკვეთი იქნება ეფექტიანობის თვალსაზრისით. რაც შეეხება მსხვილ გადამხდელებს, მათი დაბეგვრა 70%-მდე უნდა ამაღლდეს (განვითარებულ ქვეყნებში უფრო მაღალი განაკვეთებიც გამოიყენება).

ღვთის ნების პირობებში, ეკონომიკური განვითარების მთავარ მამოძრავებელს სიკეთის ქმნაში შეჯიბრი (კონკურენცია) წარმოადგენს. აღიარებულია, რომ მეწარმეთა პაექრობა განსაკუთრებით სახიფათო ხდება მაშინ, როცა საზოგადოების სულიერება (ადამიანთა ჭეშმარიტი ხედვა) სუსტდება. ამდენად, პაექრობა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის ქმნაში შეჯიბრად უნდა მოვიაზროთ.

ბუნებრივია, რაც უფრო მეტია კონკურენტთა (მეწარმეთა) რაოდენობა ეკონომიკურ გარემოში და მეტია მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, მით უფრო დაძაბულია კონკურენცია და თავისუფალია კონკრეტული პროდუქციის (მომსახურების) წარმოების მიკრობაზარი. შესაბამისად, გარკვეული მიკროსეგმენტის მომძლავრების კვალობაზე, მით უფრო ეფექტიანი ხდება (მ.შ. ხარისხობრივი თვალსაზრისითაც) სულ უფრო კონკურენტული მაკროგარემოც.

ყველაფერს ზომიერება უნდა და არც სახელმწიფო და კერძო სექტორების თანაფარდობაში უნდა დაირღვეს კონკურენციისთვის სასურველი წონასწორობა.

ეკონომიკაში პოლიტიკის უხეში ჩარევისა და კონკურენციის არასასურველად შეზღუდვის პრობლემა განსაკუთრებით მწვავე ხასიათს პოსტსაბჭოთა სივრცეში ავლენს. არასასურველი კომუნისტური გადმონაშთების თანამედროვე რეფორმირების პოლიტიკა სწორედ “პოლიტიკური მონოპოლიების” გავლენის საწინააღმდეგოდაა განსაკუთრებით მიმართული, რომლებიც, თავის მხრივ, დაწყებული ბრძოლის კვალობაზე, მაფიურ კლანებთან შეზრდის მიდრეკილებას ავლენენ.

ფიზიკის ცნობილ ომის კანონში ($I = U/R$) დენის ძალის განსაზღვრის მსგავსად, შესაძლებელია შევაფასოთ კონკურენციის ძალა, რომელიც, ბუნებრივია, უფრო ძლიერია, თუ გამოშვებულ პროდუქციაში (მომსახურებაში) ნაკლებია ყველაზე მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქციის წილი.

ასევე, უფრო ძლიერი და შედეგიანია კონკურენცია, თუ იზრდება წარმოებული პროდუქცია (ოპტიმალურ დონემდე), ხოლო მისი არარეალიზებული ნაწილი, საპირისპიროდ, კლებულობს. აღნიშნულ

მიდგომაში, მსხვილი მწარმოებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) პროდუქცია და საერთო გამოშვების არარეალიზებული ნაწილი ომის კანონის ერთგვარი წინაღობების როლს ასრულებენ, ხოლო მთლიანი პროდუქცია (მომსახურება) – დაბვისა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, კონკურენციის ძალას ვსაზღვრავ ორი ინდექსით: $I_1 = U/R_1$, სადაც I_1 – კონკურენციის პირველი ინდექსია, U – ერთგვაროვანი პროდუქციის მთლიანი გამოშვება, ხოლო R_1 – ერთგვაროვანი პროდუქციის ყველაზე მსხვილი მწარმოებლის გამოშვება; მეორე ინდექსი $I_2 = U/R_0$, სადაც R_0 – შესაბამისად, არარეალიზებული პროდუქციაა. ანალიზისათვის, ასევე, სასურველია შემოვიტანოთ კონკურენციის ინტეგრალური კოეფიციენტი $K = N \times I_1 \times I_2$, სადაც N – ერთგვაროვანი პროდუქციის მწარმოებელ ფირმათა რიცხვია ბაზარზე. I_1 , სავარაუდოდ, სასურველია, რომ 3-ზე ნაკლები არ იყოს, I_2 – შესაბამისად, 5-ზე ნაკლები, ხოლო N – 10-ზე ნაკლები. მაშასადამე, K – 150-ზე ნაკლები არ უნდა იყოს.

ხატოვნად რომ ვთქვათ, რაც უფრო ძლიერი (თავისუფალი) იქნება კონკურენცია, მით უფრო შთამბეჭდავი იქნება ბაზრის ნათება.

კონკურენციული გარემოს სრულყოფილი ანალიზი საშუალებას მოგვცემს შესაბამისად ვსრულყოთ ინსტიტუციური ბაზა, რაც, თავის

მხრივ, ბაზრის ეფექტიანობის ამაღლებისა და წარმოების ოპტიმიზების წინაპირობად მოიაზრება.

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ყველა ფირმის წილების კვადრატების ჯამი, რამაც 1000-ს არ უნდა გადააჭარბოს. ჩემი გაანგარიშებით (აღნიშნული მეთოდის სუბიექტურ განზოგადებას, ისიც მოკლედ, ინტერნეტში გავეცანი), ასეთი სიტუაცია შეიძლება მაშინ შეიქმნას, როცა ერთ-ერთი ფირმის წილი 31 პროცენტს გადააჭარბებს. კონკურენციის შეფასების შემოთავაზებული ჩვენი მიდგომით (რომელიც პრაქტიკაში სასურველია, რომ დაიხვეწოს), შესაძლებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნების ბაზრების თავისუფლების ხარისხიც შევაფასოთ. სადოქტორო დისერტაციაში, რომელიც სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო ინივერსიტეტში დავიცავი, მსგავსი ინტეგრალური მიდგომა ეფექტიანობის ანალიზისას შემოვიტანე (შრომის ნაყოფიერებისა და ფონდუკუების ინტეგრალური მაჩვენებელი, რომელიც მათ ნამრავლს წარმოადგენს, საინტერესო დასკვნების საშუალებას იძლევა

პრაქტიკაში). სიმბოლურია, რომ კონკურენციის განსაზღვრის მეთოდი, მენდელეევის პერიოდულობის კანონის მსაგავსად, ღვთის ნებით, სრულებით მოულოდნელად სიზმრად ვიხილე (მაშინ ამ საკითხზე საერთოდ არ მიფიქრია), მისი განვითარებისას კი ვრწმუნდები, რომ ის პრაქტიკისათვის ერთ-ერთ ძალზე საჭირო პრობლემას ეხება.

ბუნებრივია, მსოფლიოში კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიზმის) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს, თუმცა ისინი სრულად ვერ გაითვალისწინებენ ჩვენს სპეციფიკას. ფიზიკის ომის კანონის ანალოგიურად, კონკურენციის ძალის წარმოდგენილი მეთოდიკა (პირობითად, რევაზ ლორთქიფანიძის კონკურენციის კანონი ვუწოდოთ) წინასწარი ხანგრძლივი და შრომატევადი გაანგარიშებითი პროცედურების გარეშე ე.წ. “პოლიტიკური მონოპოლიების” აღმოჩენი მონიტორინგის საშუალებას იძლევა (ასე იმ მსხვილ “არაბუნებრივ” ფირმებს ვუწოდებ, რომელთა კონკურენციის ძალის ინდექსი 3-ზე ნაკლებია, ხოლო სასურველია 5-ზე მეტი იყოს), ასევე, მტაცებლური დემპინგისა (მოჩვენებით დაბალფასიანი იმპორტის) და მყიდველის მცირე ხელფასის (დაბალი მყიდველობითუნარიანობის) გამო არარეალიზებული ნამატის (ე.წ. ჭარბწარმოების) არსებობას.

ეკონომიკის სტრუქტურული პოლიტიკის კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, დედუქციური თანმიმდევრულობით ძალზე მოკლედ მოგახსენებთ ჩემი სადოქტორო დისერტაციის მთავარი შედეგებისა და მეცნიერული სიახლეების შესახებ (იხილეთ გამოყენებული წყაროები, №24, აგრეთვე თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, ნოსტრიფიცირებულია 2005 წელს).

როგორც ცნობილია, ეკონომიკის სტრუქტურის ზოგადთეორიული კვლევა მრავალმხრივად მიმდინარეობს, შეიძლება ითქვას, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ამდენად, აქ ძალზე რთულია ორიგინალური იყო.

საქართველოსათვის განსაკუთრებით აქტუალურად ჩავთვალე განვითარებადი ქვეყნების უახლესი და განვითარებული ქვეყნების შედარებით ადრინდელი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება სტრუქტურული პოლიტიკის საჭირო სრულყოფისათვის.

ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობისა და ეკონომიკური ზრდის, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის სრულყოფის ზოგადთეორიულ კვლევაში მნიშვნელოვანი ეტაპებია შრომის დანაწილების გაღრმავების კანონზომიერების აღმოჩენა, ცნობილი “ეკონომიკური ცხრილის” ე.წ. ნაყოფიერი და უნაყოფო დარგებით წარმოდგენა, წარმოების პირველ და მეორე ქვედანაყოფებად (წარმოების საშუალებებისა და მოხმარების

საგნების წარმოების სახით) წარმოჩენის მცდელობა, მე-20 საუკუნის შუახანებიდან “ეკონომიკური სიმწიფის” მიმართულების შექმნა (ე. ჰანსენი, პ. სუიზი, ბ. ჰიგინსი), რაც, უმთავრესად, მოსახლეობის მატების ტემპების შემცირებით აიხსნებოდა და რამაც შემდგომი განვითარება კ. კლარკის ცნობილი პირველადი (სოფლის მეურნეობა და მოპოვებითი მრეწველობა), მეორეული (გადამამუშავებელი მრეწველობა) და მესამეული (ვაჭრობა-მომსახურების სფერო) სექტორების სქემაში ჰპოვა, რომელთაგან უმაღლესი ნაყოფიერებით მეორეული სექტორი აღინიშნებოდა და პირველადი სექტორის სიჭარბის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდა მხოლოდ მოსახლეობის სიმჭიდროვის მატებით აიხსნებოდა. ასევე განსაკუთრებულ აღნიშვნას საჭიროებს უ. როსტოუს “ეკონომიკური ზრდის სტადიებისა” და “თვითუზრუნველმყოფადი ზრდის” თეორიები. როსტოუ გამოყოფდა ეკონომიკური ზრდის 5 სტადიას: 1) ტრადიციული საზოგადოება (რომელიც პრიმიტიული ტექნიკითა და შესაბამისად დაბალნაყოფიერი აგრარული სექტორით ხასიათდება, ათასწლეულობით გრძელდება და ევროპაში მე-17 საუკუნის ბოლომდე აღინიშნება); 2) გარდამავალი საზოგადოება (მე-18 საუკუნის დასაწყისიდან მეცნიერების, ტექნიკისა და კონკურენციის სწრაფი განვითარება, როცა ინვესტიციების ნამატი

10 %-ით აჭარბებს მოსახლების მატებას); 3) ძვრის პერიოდი (მკვეთრად მატულობს დაგროვების ნორმა და ეკონომიკის მაღალნაყოფიერი ე.წ. მეორეული სექტორი. ფაქტიურად ეს სამრეწველო რევოლუციის სტადიაა); 4) სიმწიფის სტადია (ძლიერდება ტექნიკური პროგრესის როლი, არსებითად მაღლდება საშუალო ფენის ცხოვრების დონე); 5) მასობრივი მოხმარების მაღალი დონის ფაზა (ვითარდება საავტომობილო მრეწველობა, შესაბამისად გზები, აგარაკების მშენებლობა და ელიტარული მომსახურების დარგები). ნებისმიერი ეკონომიკური განვითარების პროცესი, როსტოუს მიხედვით, იყოფა სამ პერიოდად: საფუძვლის ჩაყრის, განსაკუთრებით მაღალტემპიანი ზრდისა და ნორმალური ზრდის ანუ საბაზრო ავტომატიზმის პერიოდები, რაც საერთო ჯამში, ჩვენი გაანგარიშებით, გარდაუვალი კრიზისული პერიოდის გათვალისწინებით, დაახლოებით 4-5-ჯერ აღემატება ადამიანის ცხოვრების საშუალო ხანგრძლივობას. ე.წ. “ტალღური განვითარების” მსგავს და მნიშვნელოვანწილად ორიგინალურ იდეებს გვთავაზობენ ნ. კონდრატიევი, დ. ბელი, ე. ტოფლერი და სხვა ცნობილი მეცნიერები.

ეკონომიკის სტრუქტურის სრულყოფა, ჩვენი გაგებით, ეკონომიკის ელემენტარული პროპორციების სრულყოფასთან ერთად, გულისხმობს

ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას, წარმოების ფაქტორებისა და ტექნოლოგიების ეფექტიან გამოყენებას, ფინანსურ სტაბილურობას, მთლიანად საზოგადოების მუდმივ სულიერ-ინტელექტუალურ სრულყოფას, რაც ობიექტურად განპირობებული პროცესია და პერიოდულად როგორც რევოლუციური ძვრებით, ასევე ექსტენსიური ცვლილებებით ხასიათდება.

ახლადგანთავისუფლებული ქვეყნების სტრუქტურულ ცვლილებათა კვლევაში მნიშვნელოვანია პ. როზენშტეინ-როდანის, რ. ნურქსეს, ა. ჰირშმანის, ა. სმიზესის, ა. ბონეს, გ. უოლიჩის, უ. გელერის, გ. ზინგერის და სხვათა კვლევები..

თავდაპირველად პ. როზენშტეინ-როდანი და რ. ნურქსე ღარიბი ქვეყნების ბალანსირებული განვითარების აუცილებლობის პოზიციას ემხრობოდნენ, რომლის მიხედვით, ინვესტიციები დარგებსა ან რეგიონებზე შეძლებისდაგვარად თანაბრად უნდა გადანაწილებულიყო, რაც, მათი აზრით, სეის კანონს ავტომატორად ამოქმედებდა. თუმცა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში სუსტი რგოლების დამამუხრუჭებელი გავლენის დაძლევა პრაქტიკულად ვერ ხერხდებოდა. არაბალანსირებული ზრდის თეორია და შესაბამისად უთანაბრო სტიმულირების საჭიროება პირველად ა. ჰირშმანმა წარმოგვიდგინა,

რაც შემდგომ პ. როზენშტეინ-როლანმა განავითარა თავის “დიდი ბიძგის” ცნობილ თეორიაში. არაბალანსირებული ზრდა მჭიდროდ უკავშირდებოდა ”დახმარებისა” და “დუალიზმის” თეორიულ საფუძვლებს, მ. ბრუნოს, ა. სტრაუტის, ა. ლუისის, ჯ. ფეის, კ. ოკავასა, ი. შუმპეტერისა და სხვა ცნობილ მეცნიერთა კვლევებს. არაბალანსირებული ზრდის შესაძლებლობისა და გარკვეულ ეტაპებზე საჭიროების მიმდევართა მიერ მიზანშეწონილად ჩაითვალა ეკონომიკის შედარებით მაღალგანვითარებული სექტორების მეტი ინვესტირება (დახმარება) და შემდგომ, მათი დაწინაურების კვალობაზე, სუსტი რგოლების მაქსიმალურად შესაძლო გადარჩენა. აღნიშნულის საშუალებით გვთავაზობენ ე. წ. “საფუძვლის ჩაყრის” ხანგრძლივი ეტაპის გამოტოვებასა და “საბაზრო ავტომატიზმის” ეტაპზე მინიმალური დანაკარგებით გადასვლას.

სადოქტორო დისერტაციის ყოველ თავში ლოგიკური თანმიმდევრულობით მოცემული თეორიული განზოგადებების, გაანგარიშებებისა და შესაბამისად მიღებული მეცნიერული სიახლეების საფუძველზე გაკეთებულია დასკვნა ინვესტიციების მობილიზების ოპტიმალური ფისკალური მექანიზმების გამოყენებისა და მათი დახმარებით ეფექტიანი სტრუქტურული ძვრების სტიმულირების

აუცილებლობის შესახებ, რაც ეკონომიკის სტრუქტურის ზღვრული ეფექტიანობის თეორიის სახითაა წარმოჩენილი და დასაბუთებული. შემოთავაზებული ეკონომიკის სტრუქტურის ზღვრული ეფექტიანობის თეორია გულისხმობს ოპტიმალური ფისკალური მექანიზმების შესამებას მოთხოვნის ცვლილებებსა და შესაძლო დისპროპორციებზე მოქნილ რეაგირებასთან ეკონომიკის სწრაფი განვითარების აუცილებლობის პირობებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ ინფლაცია-უმუშევრობის ცნობილი კანონზომიერების მოქმედების პირობებში, მისი მრუდი შესაძლებელია დაგუკავშიროთ სტრუქტურული ძვრების ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მრუდს და განვსაზღვროთ სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის, საშუალო ხელფასისა და ინფლაციის ოპტიმალური დონეები.

ჩვენი თეორიული მიდგომის ორიგინალობა გამომდინარეობს საქართველოს ეკონომიკის განვითარების სპეციფიკური ექსტრემალური პირობებისა და შესაბამისად შემოთავაზებული რეკომენდაციებიდან:

1) დამოუკიდებლობის პირობებში ფუნქციონირების გამოუცდელია, ეკონომიკის სტრუქტურის დამოკიდებულის ძალზე მაღალი ხარისხი (მ.შ. აჭარაში, რომელიც კოლონიური მონოსტრუქტურით გამოირჩევა. აქ ციტრუსებისა და ჩაის ხვედრიწონა სასოფლო-

სამეურნეო წარმოებაში 80 პროცენტის მახლობლობაშია, არასახარბიელოა სტრუქტურის სირთულის პიენტროპიის მაჩვენებელი, სტრუქტურული ვექტორის გადახრის კუთხის კოსინუსისა და სტაბილურობის კოეფიციენტების დინამიკა, რაც დადასტურდა კიდევაც იმით, რომ გაჩნდა მასობრივი უმუშევრობა და უკიდურესი სიღატაკე), კომუნისტური მენტალობის შეცვლისა და შესაბამისად გარდამავალი ეკონომიკის აქამდე უცნობი სირთულები;

2) ხშირი პოლიტიკური შინააშლილობა და გახანგრძლივებული საომარი კონფლიქტები;

3) 1994 წლის მონაცემებით, მსოფლიოში ბოლო ადგილი მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობით ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით (სხვადასხვა მონაცემებით 39-დან 52 აშშ დოლარამდე);

4) დაზოგვისა და დაგროვების პრაქტიკულად შეუძლებლობა ქვეყანაში და პარალელურად მსოფლიოში საგარეო დახმარების მსურველ ქვეყანათა მომრავლება, რამაც, გარე ინვესტორთათვის დიდ რისკთან ერთად, გაართულა, მაგალითისათვის, სამხრეთ კორეის მსგავსი ნახტომის გაკეთება სიღარიბის ჭაობიდან განვითარებული ქვეყნის მდგომარეობამდე;

5) დისერტაციაში განხილულია ცნობილი ფილიფსის მრუდის შექმნის ისტორია და მისი სპეციფიკა. იგი უდავოდ საინტერესო დასკვნას იძლევა ინფლაციისა და უმუშევრობის უკუპროპორციულ დამოკიდებულებაზე, მასზე მრავლად იყო სხვადასხვა პოლემიკაც. ჩვენი აზრით, აღნიშნული დამოკიდებულება საერთოდ აზრს კარგავს იმ შემთხვევაში, როცა უმუშევრობა საგანგაშო მასშტაბებს ღებულობს, რაც, კერძოდ საქართველოში აღინიშნა. მაშინ წარმოება ეცემა და ინფლაცია კი არ იკლებს, არამედ ჰიპერკატეგორიებში გადადის;

6) მსოფლიოში ცნობილია შემოსავლების ზრდის კვალობაზე დაბეგვრის პროპორციული ან პროგრესულად მზარდი სისტემები. ჩვენ, ექსტრემალური სირთულეებიდან გამომდინარე, გთავაზობთ ბაზრის შედარებით მაღალშემოსავლიანი სეგმენტების არა მზარდ, არამედ საპირისპიროდ მასტიმულირებელ მინიმალურ დაბეგვრას, რამაც მაქსიმალურად შესაძლოდ უნდა გაზარდოს სტრუქტურის ეფექტიანობა.

7) თავისუფალი ზონალური გარემო ხელს შეუწყობს კაპიტალის გადაადგილების ეფექტის მაქსიმიზაციასა და ცხოვრების დონით განვითარებულ ქვეყნებთან სწრაფ დაახლოებას, იმპორტშემცველობასა და ადგილობრივი წარმოების განვითარებას, შიდა ინვესტიციების მობილიზების ფსიქოლოგიური თვალსაზრისით

მიმზიდველი დიფერენცირებული სისტემის შექმნას, რაც თანდათან საშუალებას მოგვცემს შემდგომში ობიექტური წონასწორული რეალიზმის თეორიად წოდებული მიდგომის ნორმალურ (ზომიერ) პირობებზე გადავიდეთ;

8) საქართველოში, მაგალითისათვის, ბათუმის პორტო-ფრანკოს 1878-1886 წლების გამოცდილებამ, რასაც, ბუნებრივია, გარკვეული უარყოფითი ასპექტებიც ახლდა, წინაპირობები შექმნა მსოფლიოში მაშინ ყველაზე გრძელი ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის მშენებლობისათვის, მოიზიდა ისეთი ცნობილი ინვესტორები, როგორებიცაა ნობელის, როთშილდისა და მანთაშევის წარმატებული საერთაშორისო კომპანიები. მსოფლიოში, როგორც განვითარებადი, ასევე განვითარებული ქვეყნების სირთულეებიდან გამომდინარე, ძალზე მრავლად იყენებენ თავისუფალი ზონების სხვადასხვა სასათბურე პირობებს. მრავლადაა ასეთი მაგალითები პოსტსაბჭოთა სივრცეშიც, იაპონიასა და ჩინეთში, დასავლეთ ევროპაში, სამხრეთ ამერიკასა და თავად აშშ-ში, მ.შ. სავაჭრო, სასაწყობო, საწარმოო, “წერტილოვანი”, სპეციალიზებული ტექნოპოლისი, კომპლექსური, თავისუფალი ქალაქები, რეგიონული, საბანკო, საბაჟო, საექსპორტო, ოფშორული და სხვ. თავისუფალი ზონები, როგორც სამართლიანად ამბობენ,

უძველესი და იმავდროულად უახლესი მექანიზმია ეკონომიკის განვითარების სტიმულირებისათვის, საგადასახადო პოლიტიკას ატომურ ენერჯიას ადარებენ აღნიშნულ განვითარებაში, საგადასახადო კოდექსს კი – ეკონომიკის კონსტიტუციას. გადასახადები, ბუნებრივია, მჭიდროდ უკავშირდება ფასებს, შესაბამისად, ინფლაციასა და დასაქმებას, სამართლებრივ გარანტიებთან ერთად ინვესტიციებს, საბანკო პროცენტს, მართვისა და ანგარიშიანობის მოწესრიგების აუცილებლობას, ეკონომიკურ ზრდასა და შემოსავლებს. დისერტაციაში წარმოდგენილია თავისუფალი ზონების განვითარების კანონზომიერების საკუთარი თვალთახედვა. აღნიშნულია, რომ გლობალიზაციის ფონზე, მოსალოდნელია გლობალური ზონების შექმნაც კი, რასაც, როგორც პირველ პარაგრაფში აღინიშნა, საქართველოს სულიერი მამის - ილია მეორეს ბრძნული ქადაგების მიხედვით, კი არ უნდა შევეუშინდეთ, არამედ სასიკეთოდ გამოვიყენოთ, ხოლო მისი სხვადასხვა არასასურველი გავლენებისგან ჩვენმა ურყევმა სულიერებამ უნდა დაგვიცვას.

სადისერტაციო კვლევის ძირითად მიზანს მცირე განვითარებადი ქვეყნის პირობებში სტრუქტურულ გარდაქმნათა თეორიული კონცეფციის შემუშავება წარმოადგენდა, შესაბამისად განისაზღვრა

კვლევის მთავარი ამოცანა - ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი დსთ-ს ახალგაზრდა ქვეყნებში და მის საფუძველზე სტრატეგიულ ღონისძიებათა დასახვა საქართველოსა და მისი სამხრეთ-დასავლეთი რეგიონისათვის.

საქართველოს ადრინდელი ეკონომიკის არსებითი მონოსტრუქტურული დამოკიდებულების უმძიმესი მემკვიდრეობა, ჰიპერმონოპოლიური ცენტრალიზმის გავლენა, დისბალანსი სამხედრო ინდუსტრიასა და მოხმარების საგნების წარმოებაში, რაც, განსაკუთრებით, საგარეო ვაჭრობის მკაცრად ავტარკიული ხასიათით მძიმდებოდა, თანამედროვე პირობებში, სტრუქტურული რეფორმებით სწრაფი განვითარების აუცილებლობის წინაშე გვაყენებს. გარდაქმნათა სტრატეგია, ჩვენი აზრით, უცილობლად უნდა ითვალისწინებდეს:

1. საქართველოს ეკონომიკის ეფექტიანი სტრუქტურის შექმნას შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ბუნებრივ უპირატესობათა წარმოჩენის, ხელსაყრელ საგადასახადო სივრცეში ჩრდილოვანი ეკონომიკის (ექსპერტული შეფასებით, მთლიანი ეკონომიკის მინიმუმ 50%) ლეგალიზების, სათბობ-ენერგეტიკული ინდუსტრიისა და საერთოდ ეკონომიკის სტაბილურად ოპტიმალური ფუნქციონირებისთვის ინსტიტუციური საფუძვლების შექმნის გზით,

რამაც, საწყის ეტაპებზე, მშპ-ს 10-15%-იანი საშუალოწლიური ზრდის ტემპებიც კი და ცხოვრების ღონით საშუალო განვითარების ქვეყნებთან დაახლოება და გადაბეჭება უნდა უზრუნველყოს;

2. აჭარის თანამედროვე საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნას ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური კავშირების ხარისხობრივი სრულყოფის მიზნით;

3. ზონალური პოლიტიკის გავრცელებას (დროის მოთხოვნების ტაქტიკური მიზნებიდან გამომდინარე) სხვადასხვა მწვავე საჭიროებებზე.

როგორც ცნობილია, ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკათა ეკონომიკური სტრუქტურები მჭიდრო ურთიერთკავშირში ფუნქციონირებდნენ. ერთიანი სახალხომეურნეობრივი კომპლექსის რეჟიმის მოთხოვნები მთელი რიგი დეკლარირებული უპირატესობებით იყო შენიღბული, მ.შ., უმთავრესად, საჭიროა აღინიშნოს:

1. მრავალფეროვანი ბუნებრივი რესურსების სრულად გამოყენების შესაძლებლობა და მსხვილმასშტაბიანი წარმოების ეფექტი;

2. ერთიანი საკავშირო ინფრასტრუქტურა;

3. საჭირო კადრების დაუბრკოლებლად გადააგილება და დასაქმების პრობლემათა გადაჭრა (წარმოების ხელოვნური დანაწევრებისა

და დამოკიდებულების ხარისხის გაღრმავების საშუალებით, რაც სატრანსპორტო ხარჯების არსებით ზრდასა და, ბუნებრივია, პროდუქცია-მომსახურების ფასებისა და ხარისხობრივი პარამეტრების გაუარესებას იწვევდა).

გარკვეულ უპირატესობებთან ერთად, ყოფილი საკავშირო ეკონომიკის სტრუქტურულ ურთიერთობებს მთელი რიგი ნაკლულოვანებები ახასიათებდათ. კერძოდ:

1. წარმოების საშუალებათა მეტწილად სუბიექტური მექანიზმებით გადაღინების კვალობაზე გაჩნდნენ გეგმიურად “ლოტაციური” და “დონორი” დარგები და საწარმოები, ”ღარიბი” და “მდიდარი” რეგიონები და რაიონები, რაც სოციალური და ეროვნებათშორისი დაძაბულობის მუხტს აძლიერებდა;

2. ეკონომიკის “ჩაკეტილობის” მიუხედავად, იზრდებოდა სამუშაო ძალის ფარული მიგრაცია;

3. გადაჭარბებულმა სამხედრო-სამრეწველო პრიორიტეტებმა გამოიწვიეს მომსახურების სფეროს ხვედრიწონის არასასურველი დაცემა.

საჭირო სტრუქტურული გარდაქმნების ზოგადთეორიულ ასპექტში, ეკონომიკური სტრუქტურა ოთხი ძირითადი შემადგენელი ბლოკით შეიძლება მოვიაზროთ:

1. დარგობრივი სტრუქტურა, რომელის ზემოაღნიშნულ პირველად, მეორეულ და მესამეულ სექტორთა თანაფარდობა ეკონომიკის განვითარების დონესა და სტადიაზეც მიუნიშნებს.

2. რეგიონული სტრუქტურა, რომლის თავისებურებებს, ძირითადად, შემდეგი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები განაპირობებენ:

- ა) გეოგრაფიული სპეციფიკა;
- ბ) ისტორიული ტრადიციები;
- გ) კადრების კვალიფიკაციის დონე;
- დ) ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურა.

3. სოციალური სტრუქტურის თვალთახედვით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება განსხვავებების ამპლიტუდას მოსახლეობის ცალკეულ ფენათა ცხოვრების დონეებში, შემოსავლების განაწილების სისტემას, საკუთრებითი ურთიერთობების ხასიათს, “შრომითი” და “საკუთრებიდან” შემოსავლების თანაფარდობას, ყოველი მოსახლის პირადი თავისუფლებისა და საზოგადოებრივი დაფასების ხარისხსა და სხვ.

4. ინსტიტუციური სტრუქტურა – ანუ ეკონომიკის ფუნქციონირების სამართლებრივ-ორგანიზაციული გარემო. ე.წ. “სამართლის ეკონომიკის” შესახებ თანამედროვე თეორიებში აღწერილია “ტრანსაქციების” ხელშეკრულებათა ინსტიტუტი, კერძო, კომუნალურ (ჯგუფურ) და სახელმწიფო საკუთრების ფორმათა ურთიერთკავშირი, სახელმწიფოს ინსტიტუტი წარმოჩენილია, როგორც ერთგვარი მომსახურების “სააგენტო”, რომელიც ადამიანებისათვის საჭირო აუცილებელ სიკეთეებს (თავდაცვა, სამართალდაცვა და სხვ.) აწარმოებს.

ფრითრეიდელებისა და შერჩევითი პროტექციონიზმის მომხრეთა დისკუსია თანამედროვე მსოფლიოში აქტუალურია დღესაც. ჩვენი აზრით, საქართველოში რეფორმირების თავისუფალი ბაზრისა და მარეგულირებელი საწყისების თანაფარდობა შორსაა ოპტიმალურისაგან (რაც, ციფრული ასახვის მეთოდს თუ გამოვიყენებთ, ჩვენი აზრით, 1:1-თან თანაფარდობის მახლობლობაში უნდა მოვიაზროთ). არასაკმარისია გარდაქმნების ტემპები რეგიონებში (მაგალითისთვის, თბილისისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის, ქვემო და შიდაქართლის მხარეების გარდა, დანარჩენი რეგიონებისთვის, კერძო სექტორის წვლილი შესაბამისი მთლიანი რეგიონული პროდუქტის წარმოებაში, დაახლოებით, მხოლოდ

მესამედი ან კიდევ უფრო ნაკლებია), თუმცა, მისანიშნებელია, რომ რეფორმების განვითარებაზე მოთხოვნა არ უნდა ნიშნავდეს ეროვნული სიმდიდრის განიაგების შესაძლებლობათა “განვითარებასაც”.

ქვეყანაში ეკონომიკური სიტუაციის არსებითი გაუმჯობესების პრიორიტეტულ ამოცანად, ავტორის აზრით, მიზანშეწონილია (უფრო მეტიც – აუცილებელი), სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის სწრაფი განახლების უზრუნველყოფა მივიჩნიოთ, რაც სავსებით შესაძლებელია:

- ა) საამორტიზაციო და საინოვაციო პოლიტიკის სრულყოფით;
- ბ) სამთავრობო პროგრამის “ტექნოპოლისი – 21-ე საუკუნის ქალაქების მშენებლობა” შემუშავებითა და რეალიზებით;
- გ) მიმოქცევაში არსებული ფულადი ერთეულის ქვეყანაში მოჭრის ტექნიკური პრობლემების მოგვარებითა და, შესაბამისად, ფულის მიმოქცევის სიჩქარის ნორმალიზებით;
- დ) სატრანსპორტო არტერიების რეკონსტრუქციით (ფინანსური რესურსების ხარჯვის მკაცრი სახელმწიფო მონიტორინგის პირობებში);
- ე) შავ ზღვაში გაზის პოტენციალის ფორსირებული ათვისებისათვის ტექნიკური ბაზის მომზადებით;

ვ) სპეციალიზიციის დარგების (იშვიათი მეტალების მოპოვება-გადამუშავება, ღვინის, მინერალური წყლებისა და სუბტროპიკული პროდუქციის წარმოება და სხვ.) ტექნიკური გადაიარაღების სპეცილური სახელმწიფო ხელშეწყობით;

ზ) ეკონომიკურად უდანაკარგო (ამასთან, ეკოლოგიურადაც სუფთა) პროექტების შემუშავების გამოცდილების მასობრივი გაზიარებით, მათი რეალიზებისთვის პირობების შექმნითა და სხვ.

ეკონომიკური სტაბილიზება დაუშვებელია უნიკალური ბუნებრივი რესურსების გამანადგურებელი გამოყენების ხარჯზე, რისთვისაც, აუცილებელია, ხეტყის, მეტალებისა და ქვანახშირის “ჩალის” ფასად უზომოდ გაღინების აღმკვეთი სამართლებრივი პირობების შექმნა, შესაბამისად, მეცნიერებატევადი საექსპორტო წარმოებისა და იმპორტშემცვლელობის დასაშვები ფორმებით წახალისება.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაბალანსებისა და ფისკალური მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლებისათვის შემოთავაზებულია: 1. საგადასახადო გარემოს შერჩევითი და ოპტიმალური ლიბერალიზება ინვესტიციების მოზიდვის მიზნით; 2. ცენტრალური, რეგიონული და ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობათა მაქსიმალურად შესაძლო თანასწორი გადანაწილების ხელშეწყობა ადგილობრივი საბიუჯეტო

საფუძვლების გარკვეული პრიორიტეტით; 3. უცხოური დახმარებებისა და კრედიტების მიზნობრივ გამოყენებაზე მკაცრი კონტროლი ეროვნული ვალუტის სტაბილურობისა და ეკონომიკის სტრუქტურის ძღვრული ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად; 4. საგადასახადო და სტატისტიკური დისციპლინის გამტკიცება (მარტო გადასახადების გადამხდელთა სრული აღრიცხვა, ექსპერტული შეფასებით, 4-5-ჯერ გაზრდის სახელმწიფო შემოსავლებს); 5. საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების გარკვეული გათვალისწინებითა და საქართველოში 1994 წლის ნოემბრის გამოცდილების მსგავსად, როცა საბაჟო გადასახადის, დღგ-სა და აქციზების მომატებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ეკონომიკური სტაბილურობის დაწყებას, საგადასახადო პოლიტიკის პერიოდული არსებითი გადახედვა (საქართველოს მასშტაბების ქვეყნისათვის 10 წელიწადში ერთხელ მაინც) ხან ზრდის, ხან კლების მიმართულებით სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის მოთხოვნებიდან გამომდინარე. 6. ზონალური მექანიზმების გამოყენება სატრანსპორტო-საკვანძო პოტენციალის უკეთ გამოყენებისა და კაპიტალის საერთაშორისო გადაადგილების გზაზე ბარიერების მინიმიზებისა და ცხოვრების დონით დაწინაურებულ ქვეყნებთან დაახლოებისათვის.

სტაბილური სამეცნიერო ტექნიკური განვითარების უზრუნველ-
საყოფად, მიზანშეწონილია: 1. ამორტიზაციისა და მოწყობილობათა
ჩამოწერის განსაკუთრებული რეჟიმის დაწესება მეცნიერებატევად
დარგებში; 2. ტექნოპოლისებისა და ავტომატიზებული სასაწყობო
მეურნეობების დანერგვა; 3. კონკრეტული უდანაკარგო და
ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა; 4. სატრანსპორტო
არტერიების რეკონსტრუქცია; 5. ყოფილი საკავშირო ქარხნების
ნაწილობრივი კონვერსია – მათ გარკვეულ ნაწილს (მშ.
განსაკუთრებით გემთმშენებელ და ელექტროტექნიკურ
მანქანათმშენებლობაში) მართლა შესწევს უნარი კონკურენტუნარიანი
პროდუქცია აწარმოოს, დანარჩენი – ნაკლებმეცნიერებატევადი, მაგრამ
შემოსავლიანი და საჭირო ფართე მოხმარების პროდუქციის
მწარმოებელ მნიშვნელოვან პოტენციალს ფლობს.

ეროვნული ვალუტის შემდგომი სტაბილურობისათვის აუცი-
ლებელია: 1. ექსპორტისა და იმპორტშემცველობის დასაშვები
წახალისება ზონალური მექანიზმების გამოყენებით; 2. ფულის
მიწოდების მკაცრი შეზღუდვა საწარმოო შესაძლებლობების
ფარგლებით; 3. ფულის მიმოქცევის სინქარისა და ინფლაციის იმ
ბუნებრივ ოპტიმალურ დონეზე ორიენტირება, როცა არც საბანკო-

სავალუტო სისტემის სტაბილურობას შეექმნება პრობლემები და არც საწარმოო გარემოს დათობა შეიზღუდება; 4. ეფექტიანი სტრუქტურული ძვრების უზრუნველყოფი სამართლებრივი გარემოს (უპირველესად, ანტიმონოპოლიური და დიფერენცირებული საგადასახადო რეგულირება) შექმნა; 5. საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შემდგომი გააზრებული თანამშრომლობით ზრუნვა სტაბილური კოლექტიური ვალუტის სივრცეში შესასვლელად.

წონასწორული ფასების უზრუნველსაყოფად განსაკუთრებულად აქტუალურად მიიჩნევა: 1. შემდგომში ობიექტური წონასწორული რეალიზმის თეორიით შემოთავაზებული ფასწარმოქმნის კერძო და სახელმწიფო საწყისების თანასწორობა; 2. მონოპოლიზმის დამაფიქსირებელი ორიგინალური მაჩვენებლებისა და მეთოდების გამოყენება; 3. მონოპოლიური მოგებისა და რენტაბელობის შემზღუდავი ბარიერების დაწესება; 4. საჭირო მეცნიერებატევადი პროდუქციისა და ნედლეულის შემოტანის მასტიმულირებელი მაქსიმალურად დიფერენცირებული საბაჟო პოლიტიკის გატარება, რამაც არსებითად უნდა გააუმჯობესოს საქართველოს საგადაამხდლო ბალანსი და მნიშვნელოვნად შეამციროს ზემოაღნიშნულ პროდუქციაზე ფასები.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, გეოგრაფიული, ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები საშუალებას იძლევიან, რომ აჭარაში, როგორც საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე ხელსაყრელ რეგიონში, საერთაშორისო კლასის თავისუფალი ზონების შექმნაზე და განსაკუთრებით მაღალეფექტიან ფუნქციონირებაზე მიმართული სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა გატარდეს, რაც შავიზღვისპირეთის აუზის და, უპირველესად, კავკასიურ სახელმწიფოთა ინტერესებშიც შედის.

შემოთავაზებული თეორიული მიდგომის რეალიზებისათვის აუცილებელია: 1. უცხოური არაკეთილსინდისიერი კონკურენციის, სასურველი ინვესტიციებისა და საგანგაშო მონოსტრუქტურული მიდრეკილებებისაგან რეალურად დამცავი საკანონმდებლო გარემოს შექმნა; 2. ზონალური კანონმდებლობის მიღება საერთოსახელმწიფო დონეზე, რეგიონებში სპეციფიკური სამოქმედო წესების შემდგომი დაკონკრეტებით; 3. თეზ-ის ცენტრალური რგოლის (პორტთან მიმდებარე ფრანკორეჟიმი), “წერტილოვანი” ზონების რეგიონალ-ლოკალური გარემოსა და, საერთო ჯამში, სახელმწიფო ზონალური რეგულირების შეთანხმებული მოქმედების ინსტიტუციონალური მექანიზმის მარეგლამენტირებელი წესების შემოღება და,

გამოცდილების კვალობაზე, სრულყოფა; 4. მიღებული კანონმდებლობის კონტროლის ქმედუნარიანი საფუძვლების შექმნა.

აჭარაში თავისუფალი ზონალური გარემოს დაფუძნება, მოსამზადებელ ეტაპზე, სასურველია გულისხმობდეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ისეთი დარგების სტიმულირებას (“რეანიმაციას”), რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია კრიზისის დაძლევა: ენერგეტიკა, სამშენებლო ინდუსტრია, მემარცვლეობა, ხორცისა და რძის წარმოება; მეორე ეტაპზე მთავარ მიზნად ისახება სპეციალიზაციის გაღრმავებისა და ეფექტიანობის ამაღლების ისეთი დარგების წახალისება, რომელთათვისაც აჭარაში განსაკუთრებით ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია შექმნილი: სუბტროპიკული და ზღვის პრიდუქტების გადამუშავება, ტყავ-ფეხსაცმლის წარმოება, საგარეო ვაჭრობა. დამამთავრებელ სტადიაზე შესაძლებელი იქნება მეცნიერებატევადი დარგების მსოფლიო დონეზე განვითარება: თანამედროვე მომსახურების სფერო, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა, ნავთობქიმიური მრეწველობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვ.

აჭარის ადმინისტრაციული ერთეულების პრიორიტეტები, ჩვენი აზრით, შემდეგ დარგებს უნდა ითვალისწინებდნენ: ბათუმი – ვაჭრობა, ინდუსტრია, სატრანსპორტო გზები; ბათუმის სანაპირო ზოლი,

ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონები – ტურიზმი და სუბტროპიკული პროფილის აგროსამრეწველო დარგები; ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონები – მემარცვლეობა და მეცხოველეობა, გამაჯანსაღებელი პარკები მაღალმთიან ტყის მასივში.

“წერტილოვანი” თავისუფალი ზონა შეიძლება იყოს როგორც მსხვილი სამრეწველო და მომსახურების ობიექტი, ასევე ოჯახური მინიმუმურნობანი ან მათი კოოპერატივები სოფლად, მინერალური და ხილვული წყლების, თევზის, ხორცისა და რძის პროდუქციის რეალიზების საფირმო ცენტრები სატრანსპორტო კვანძებში.

ქვეყანაში მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმათა შემავაძებელი ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას, სასურველია, სინთეზური კრიტერიუმისა და მაჩვენებლის შერჩევა, ვინაიდან ეფექტიანობის კერძო მაჩვენებლებს, რომლებიც ყოველი კონკრეტული რესურსის გამოყენების შედეგიანობას ასახავენ, შესაძლოა, განსხვავებული დინამიკა ახასიათებდეთ (ვთქვათ, შრომის ნაყოფიერება იზრდებოდეს, მაგრამ ფონდუკუება მცირდებოდეს).

სხვადასხვა თეორიულ მიდგომათა განზოგადებული გამოცდილებისა და თანამედროვე საქართველოს სპეციფიკის ექსპერტული გათვალისწინებით, ეფექტიანობის ინტეგრალური მაჩვენებლის

განსაზღვრის მიზნით, შემოთავაზებულია მთლიანი დანახარჯების გაანგარიშების სარეკომენდაციო-საორიენტაციო ხასიათის შემდეგი ფორმულა: 1,64 ხელფასი + 0,12 ფონდები + 0,016 კაპიტალური დაბანდებანი + 0,003 მიწის სავარგულების ღირებულება.

დარგობრივი და სტრუქტურული ძვრების ეკონომიკური ეფექტიანობის მრავალფაქტორულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ, შიდა რეგიონულ ტერიტორიულ ძვრებთან შედარებით, რეგიონის დარგობრივი სტრუქტურული ძვრების გავლენა შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, შესაძლოა, მნიშვნელოვნად მეტი იყოს (სხვადასხვა სახეობისა და ზომის, მ.შ. მსხვილი “წერტილოვანი” საწარმოო ზონების პრიორიტეტის საფუძველი). რაც შეეხება ძირითადი კაპიტალის ზომითი სტრუქტურის (კონცენტრაციის) ეფექტიანობას, ჩვენი გაანგარიშებებით, უმაღლესი ფონდუკუგებით ყველაზე მცირე საწარმოები გამოირჩევიან (100 ათ. აშშ დოლარამდე ძირითადი წარმოებრივი ფონდებითა და ფონდუკუგების ინდექსით 7,8-დან 8,2-მდე).

კონკრეტულად აჭარის რეგიონის სინამდვილის გათვალისწინებით, შემოთავაზებულია, რომ ლიბერალური სივრცის ე.წ. ”წერტილოვან” ზონებში რეგიონის მოსახლეობის თითქმის ნახევარი (დაახლოებით

100 ათასი სამუშაო ადგილი) შეიძლება ჩაერთოს, რამაც, ექსპერტული გაანგარიშებით, 190 მლნ. აშშ დოლარის წლიური ეკონომიკური ეფექტი შეიძლება მოგვცეს.

თავისუფალი ეკონომიკური ზონების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე საგადასახადო განაკვეთი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ამძრავია, თუმცა ზედმიწევნითმა ლიბერალიზებამ, კაპიტალდაბანდებათა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რისკის, ეროვნული ეკონომიკის სუსტი კონკურენტუნარიანობისა და მწვავე სოციალური პრობლემების გამო, შესაძლოა, მხოლოდ ხელი შეგვიშალოს სტრუქტურული რეფორმებისთვის საჭირო თანხების მობილიზებაში. ჩვენს მიერ შემოთავაზებულია საგადასახადო განაკვეთების სამსაფეხურიანი მოდელი: პირველ ეტაპზე მთლიანი ამონაგების 0,5%-დან 1,0-1,5%-მდე (მე-2 საფეხური) და, საბოლოო ჯამში, 3-6 %-მდე (მე-3 საფეხური), რაც კონკრეტულ გაანგარიშებებსა და ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნება.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული სოციალური თავისუფალი ბაზრის რეგიონული მოდელი გულისხმობს: 1) ზონალურ გარემოში სწრაფი ზრდის ტემპების ხარჯზე მიღებული შემოსავლების განაწილებას 4

თანატოლ ნაწილად – კონკრეტული ზონის ადმინისტრაციის ფონდში, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის ადგილობრივ, რეგიონულ და ფედერალურ არხებში; 2) ადმინისტრაციის ფონდის ნახევრის ნებაყოფლობით განკარგვას რეკლამის, მეწარმეობის გაფართოების პირდაპირი ინვესტირების, გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარებისათვის რეზერვების დასაგროვებლად და ა.შ.; 3) ფონდის მეორე ნახევარი მიზნობრივად უნდა აკუმულირდეს მწვავე სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად, მ.შ. მოსახლეობის გარკვეული ფენების უფასო ჯანმრთელობის დაცვის, მაღალინტელექტუალური ახალგაზრდობის განათლებისა და მეცნიერული ზრდის ხელშესაწყობად.

აღნიშნული სოციალური თავისუფალი ბაზრის ეფექტიანობისა და შესაძლო გადახრათა დასაფიქსირებლად უნდა წარმოებდეს მუდმივი მონიტორინგი შემდეგი 2 მიმართულებით: 1) მაქსიმალურად ეფექტიანი სტრუქტურული ძვრების ხელშეწყობა გადასახადების ოპტიმალური მინიმიზებით; 2) სტრუქტურის სირთულის ზრდის მიზანშეწონილობა, რაც, საბოლოო ჯამში, გამორიცხავს სტრუქტურის ეფექტიანი ელემენტების ზედმიწევნით ექსტენსიურ გაფართოებას.

ექსპერტული შეფასებით, მომავალ ათ წელიწადში, საკუთარი და მოზიდული თანხების თანაფარდობა ზონალურ გარემოში ამჟამად მოქმედი დისპროპორციიდან 1:4 (რაც კარგი ცხოვრებითა და მიმზიდველობით კი არაა განპირობებული, არამედ დამხმარე სახელმწიფოების ჰუმანურობით), თანდათან შეიცვლება ძლიერი ქვეყნის 6:1-თან სასურველ და დამსახურებულ საუკეთესო პროპორციამდე. ვფიქრობ, ათწლისწინანდელ უმძიმეს მდგომარეობას თუ გავიხსენებთ, ტენდენცია შეუქცევადი ხდება.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთობის გააზრებაში, ვფიქრობ, მნიშვნელოვნად დაგვეხმარება, ეკონომიკურად მაღალგანვითარებული და, შეიძლება ითქვას, ყველაზე თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის – ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითები (იხილეთ გამოყენებული წყაროები, მ.შ. №9-23, 27-29), რომელიც აქტიურად იყენებს როგორც საგადასახადო, ასევე ფულად-საკრედიტო რეგულირების სხვადასხვა მეთოდებს.

ცნობილი რეიგანეკონომიკის საგადასახადო რეფორმის შესახებ ნათლად მეტყველებენ გ. მენქიუს მიერ მოყვანილი ანალიტიკურ-სტატისტიკური ხასიათის მასალები, რასაც, ინტერნეტით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩემს დასკვნებსაც დავურთავ. საჭირო

ისტორიული ექსკურსისათვის გავიხსენებთ, რომ გადასახადები არაერთხელ გამხდარა ცხარე პოლიტიკური დებატების საგანი. 1776 წელს, უკმაყოფილებამ, რომელსაც ამერიკულ კოლონიებში ბრიტანეთის გადასახადები იწვევდნენ, ამერიკულ რევოლუციას მისცა ბიძგი. ორი საუკუნის შემდეგ, რონალდ რეიგანის საარჩევნო პოლიტიკური პლატფორმა პირადი საშემოსავლო გადასახადების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებდა, რის შედეგადაც თეთრ სახლში რეიგანის რვაწლიანი მმართველობის პერიოდში მაქსიმალური საშემოსავლო გადასახადი დაახლოებით 2-ჯერ (42 პროცენტული პუნქტით!) შემცირდა. 1992 წელს კი ბილ ქლინტონის პრეზიდენტად არჩევნის მიზეზი ნაწილობრივ ისიც იყო, რომ ჯორჯ ბუშმა უფროსმა 1988 წლის საარჩევნო კამპანიაში მიცემული სიტყვა გატეხა (ეს მენქიუს აზრია. ჩემი აზრით, მას გადასახადების რაოდენობის მომატება ჰქონდა ნაგულისხმევი, და არა საგადასახადო ტვირთის ოპტიმიზება): “დაიმასსოვრეთ ჩემი სიტყვა: არავითარი ახალი გადასახადები” (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდი 203). თუმცა, თანამედროვე თვალთახედვით, დრომ დაადასტურა, რომ რეიგანის ლიბერალური საგადასახადო რეფორმა ცოტა ნაადრევად რადიკალური აღმოჩნდა.

საგადასახადო პოლიტიკის უახლესი ისტორია გვიჩვენებს, თუ რამდენად განსხვავებული შეხედულებები აქვთ პოლიტიკურ ლიდერებს სამართლიანობასა და ეფექტიანობაზე. როდესაც 1980 წელს პრეზიდენტად რონალდ რეიგანი აირჩიეს, უმდიდრესი ადამიანების საშემოსავლო გადასახადის ზღვრული განაკვეთი შემოსავალზე 50 პროცენტს შეადგენდა, ამასთან, საბანკო პროცენტიდან მიღებულ შემოსავალზე გადასახადის ზღვრული განაკვეთი კიდევ უფრო მეტს - 70 პროცენტს. რეიგანის მტკიცებით, გადასახადების ასეთი დიდი განაკვეთები ძალიან ამახინჯებენ შრომისა და დაზოგვის სტიმულებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რეიგანი აცხადებდა, რომ ასეთი დიდი გადასახადები, ეკონომიკური ეფექტიანობის თვალსაზრისით, ძალიან ძვირი ჯდება. ამიტომ, საგადასახადო რეფორმა მისი ადმინისტრაციის ძირითადი პრიორიტეტი იყო. რეიგანმა მკვეთრად შეამცირა გადასახადები 1981 წელს და, ხელმეორედ, 1986 წელს. როდესაც, 1989 წელს, რეიგანმა თეთრი სახლი დატოვა, უმდიდრესი ამერიკელების გადასახადების ზღვრული განაკვეთი მხოლოდ 28 პროცენტს შეადგენდა. უფროსი ბუშის პრეზიდენტობის ოთხი წლის განმავლობაში ძალზე შემცირებული გადასახადის განაკვეთი ოდნავ გაიზარდა და 31 პროცენტი გახდა. 1992 წელს, პრეზიდენტობისთვის

მებრძოლი ბილ ქლინტონი ამტკიცებდა, რომ მდიდრები არ იხდიდნენ ისეთ გადასახადებს, რომელთაც მათგან სამართლიანობა მოითხოვდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მდიდართა გადასახადების დაბალი განაკვეთი, ქლინტონის აზრით, ვერტიკალურ სამართლიანობას არღვევდა. უმაღლეს დონეზე საგადასახადო განაკვეთი, დაახლოებით, 40 პროცენტი გახდა (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდი 341), რაც, ჩემი აზრით, გამოწვეული იყო იმითაც, რომ, გადასახადების შემცირების სიკეთესთან ერთად, 1980-იანი წლების დასწყისიდან ბიუჯეტის დეფიციტი აშშ-ს ეკონომიკის ქრონიკული პრობლემა გახდა. ახლადგაპრეზიდენტებული რეიგანის მიზანი, როგორც ხარჯების, ასევე გადასახადების შემცირება იყო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ სამთავრობო ხარჯების შემცირება უფრო მეტ პოლიტიკურ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, ვიდრე გადასახადების შემცირება. მის შედეგად, დაიწყო ბიუჯეტის დიდი დეფიციტის ეპოქა, რომელმაც არა მარტო რეიგანის, არამედ ჯორჯ ბუშისა (ლაპარაკია უფროსზე – რ.ლ.) ... და ბილ ქლინტონის (დასაწყისში, შემდეგ პროფიციტი დაფიქსირდა – რ.ლ.) მმართველობის პერიოდებიც მოიცვა (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდები 739-740).

ამდენად, დღევანდელი გადმოსახედიდან ფაქტია, რომ ყველაფერს ზომიერება ესაჭიროება. მაგალითისათვის, მისანიშნებელია, რეიგანის ეპოქისათვის (წინაპირობებისა და შემდგომი უახლოესი წლების ჩათვლით) დამახასიათებელი სხვადასხვა ეკონომიკური ტენდენციებიც:

1. ინფლაცია ჩვეულებრივი მოვლენა იყო, მაგრამ ფასების ზრდის ტემპი ხშირად მნიშვნელოვნად იცვლებოდა. 1990-დან 1996 წლამდე ფასების წლიური ზრდის საშუალო სიჩქარე დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენდა. 1970-იან წლებში კი, ფასები წელიწადში 7 პროცენტით იზრდებოდა, რაც ათწლიან პერიოდში ფასების გაორმაგებას ნიშნავს. საზოგადოება ასეთ მაღალ ინფლაციას ძირითად ეკონომიკურ პრობლემად თვლიდა. როდესაც პრეზიდენტი ჯიმი კარტერი მეორედ იყრიდა კენჭს, მისი მოწინააღმდეგე როლანდ რეიგანი აცხადებდა, რომ მაღალი ინფლაცია კარტერის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ჩავარდნა იყო (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდი 808).

2. OPEC-ის მიწოდების ორი შოკის შემდეგ, 1980 წელს, აშშ-ს ეკონომიკაში უმუშევრობის დონე დაახლოებით 7 პროცენტი, ხოლო ინფლაციის დონე - 9 პროცენტზე ოდნავ მეტი იყო. უმუშევრობისა და ინფლაციის ეს კომბინაცია შორს იყო იმ ალტერნატივისაგან, რომელსაც 1960-იან წლებში ვარაუდობდნენ (1960-იანი წლების

ფილიპსის მრუდიდან გამომდინარე, 7-პროცენტიანი უმუშევრობა დაკავშირებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ 1-პროცენტიან ინფლაციასთან. 9-პროცენტიანი ინფლაცია იმ დროისთვის წარმოუდგენელი იყო). 1980 წელს, აშშ-ს ისტორიაში სიღარიბის ყველზე მაღალი ინდექსის პირობებში, საზოგადოება უკმაყოფილო იყო მაკროეკონომიკური მდგომარეობით. ეს უკმაყოფილება ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა იმისა, რომ იმდროინდელი პრეზიდენტი ჯიმი კარტერი ახალ საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხდა (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდები 993-994).

3. 1979 წელს ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარედ პოლ ვოლკერი დანიშნა. იმავე წლის ნოემბერში ვოლკერმა დაიწყო შემზღვეველი მონეტარული პოლიტიკის გატარება, რათა შებრძოლებოდა ინფლაციის მაღალ დონეს, რომელიც წინამორბედისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ვოლკერის გადაწყვეტილების სავარაუდო შედეგი რეცესია იყო, ხოლო რეცესიის სასურველი შედეგი – კარტერის პოპულარობის ზრდა. იმის ნაცვლად, რომ დახმარებოდა პრეზიდენტს, რომელმაც ამ თანამდებობაზე დანიშნა, ვოლკერმა ხელი შეუწყო კარტერის დამარცხებას რონალდ რეიგანთან პაექრობაში (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდი 1016).

საერთოდ, ეკონომისტებს, როგორც პროფესიონალთა ჯგუფს, ხშირად აკრიტიკებენ პოლიტიკოსებისთვის ურთიერთსაწინააღმდეგო რჩევების მიცემისათვის. პრეზიდენტმა რეიგანმა ერთხელ ძალზე მახვილგონივრულად აღნიშნა, რომ თამაში “ბედნიერი შემთხვევა” ეკონომისტებისთვის რომ იყოს შექმნილი, მასში 100 კითხვა და 3000 პასუხი იქნებოდაო (იხილეთ გამოყენებული წყარო 28, გვერდი 40). ასე რომ, უნივერსალური რეცეპტი არსად არ არსებობს და ყოველ კონკრეტულ სიტუაციას აწონდაწონილი და შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილება ესაჭიროება.

ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები სტაბილურ პირველ ადგილს ინარჩუნებს მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მიხედვით (დაახლოებით 7,4 ტრლნ. აშშ დოლარი), რითაც იგი მნიშვნელოვნად უსწრებს შემდგომ პოზიციაზე მყოფ იაპონიას (2,3 ტრლნ. აშშ დოლარით). უფრო არსებითია აშშ-ს დაწინაურება იგივე მაჩვენებლის მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით (მეორე ადგილზე მყოფ ჩინეთთან შედარებით 3,4 ტრლნ. აშშ დოლარით). განსაკუთრებით შთამბეჭდავია შრომის საშუალებების დადებითი სალდო აშშ-ს ექსპორტ-იმპორტში (იხილეთ გამოყენებული წყაროები №14, 22, 23, 25), რაც შრომის

სანედლეულო საგნების იმპორტის უპირატესი ზრდის ფონზე ქვეყნის მძლავრ მეცნიერულ-ტექნიკურ პოტენციალზე მეტყველებს.

ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარება წარმოების შემდგომი განსაზოგადოების საფუძველია. გლობალური ინტერნეტ-ქსელის შექმნამ საბოლოოდ დააგვირგვინა ამერიკის აღმოჩენისა და მანქანური სამრეწველო რევოლუციების კვალობაზე მომძლავრებული მსოფლიო ბაზრის ფრაგმენტების გამთლიანების პროცესი ურთიერთდაკავშირებულ სისტემურ მექანიზმად. ამდენად, ამერიკული გიგანტი ე.წ. კომპიუტერული კომპანიების ტექნოლოგიურ-ფინანსური წვლილი მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესში განსაკუთრებულ ხაზგასმას საჭიროებს.

აშშ-ს პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ოფიციალურად ითვალისწინებს სამ მთავარ მიზანს: 1) ხელი შეუწყოს ლიბერალურ-დემოკრატიულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს; 2) უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვა; 3) დაეხმაროს ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას. ძირითადად, შემდგომი ინსტიტუციური სრულყოფისკენაა მიმართული ზოგადად პოლიტიკურ-ეკონომიკური რეფორმები ამერიკულ სივრცეში (იხილეთ წყაროები №9-23, 27-29).

მნიშვნელოვანწილად ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით მზარდი მსოფლიო ბაზრის მასშტაბები, რაც მსხვილი მრავალეროვნული კომპანიების გამრავლების პროცესსა და, საერთო ჯამში, გლობალიზაციის კანონზომიერებაშიც ვლინდება, საქართველოს, მყისიერად საჭირო სიკეთეებთან ერთად, მრავალი პრობლემის დაძლევას ავალებს, მ.შ. ეკონომიკური პრობლემების სპექტრი ერთ-ერთი უმთავრესია.

მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა და განსხვავებისა, საქართველოს ეკონომიკის რეფორმირება შეუძლებელია სრულფასოვანი იყოს აშშ-თან თანამშრომლობის გარეშე. საერთოდ, ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველს, ბუნებრივია, თანამედროვე პოლიტიკურ-რელიგიური და ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკურ-გეგრაფიული ხასიათის ურთიერთობანი ქმნიან. ურთიერთობებში არსებულ წინააღმდეგობათა (განსხვავებათა) იგნორირება შეუძლებელია: ვერც მათ სრულ აღმოფხვრას მოვახერხებთ და არც მათ გამწვავებულ წარმოჩენას უნდა ვეცადოთ. ისინი, თავისთავად, ობიექტურ, თუ, ზოგიერთ შემთხვევაში, სუბიექტურ მიზეზთა გამო, პერიოდულად, „ვეულკანურ“ გამოხატულებას იძენენ – დღეს, ხომ, ფაქტობრივად, ასეთ ეპოქაში ვცხოვრობთ. რეფორმების თანამედროვე ეპოქისათვის

დამახასიათებელია აშშ-ს აქტიური გავლენა რეაქციული რეჟიმების დემოკრატიული მართვით რევოლუციურ ჩანაცვლებაში, რაც საყოველთაოდაა აღიარებული და დადასტურდა კიდევ ჩვენს პოსტსაბჭოთა სინამდვილეში.

საქართველოს ლტოლვა მაღალგანვითარებული ეკონომიკური კავშირებისკენ, უეჭველად, პროგრესული და ჯანსაღია. ყოფილი საბჭოთა კავშირის რეფორმირებადი სივრცე, თანამედროვე ევროკავშირი, უახლოეს პერიოდში ფორმირებადი მსოფლიო ზონალური გარემოს ელემენტები (აშშ-ს, კანადისა და ევროკავშირის ბაზაზე) – რეგიონული თანამშრომლობის განვითარების ის საფეხურებია, რასაც ჩვენი ეკონომიკური პოლიტიკა ყოველმხრივ დასაბუთებულად უნდა მოიაზრებდეს.

სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე, საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის რეფორმირების მართვის პროცესში ყოველდღიური ზრუნვის სფეროებს უნდა წარმოადგენდნენ:

- 1) საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზება აშშ-ს, ევროკავშირისა და სხვა ცივილური ქვეყნების ნორმებთან, მათი შესრულების კონტროლი;
- 2) მწარმოებლურობის დონის თანდათანობითი (2025 წლამდე) გადამეტება საშუალომსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით,

ეფექტიანობის (პროდუქტიულობის) სხვადასხვა ინდიკატორების სისტემური და ზუსტი მონიტორინგი;

3) მცირე მეწარმეობის რეალური მხარდაჭერა, შესაბამისად, დასაქმების პრობლემათა გადაწყვეტა და მსხვილი ინვესტიციების მოზიდვისათვის საჭირო გარემოს არსებითი გაუმჯობესება.

სავარაუდოა, რომ საერთო ინტერესებიდან გამომდინარე, აშშ გააღრმავებს თანამშრომლობას საქართველოსთან აღნიშნულ ამოცანათა მაქსიმალურად შესაძლო ოპერატიული გადაწყვეტისათვის. აქამდე, გვაფრთხილებდა რა კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების გამო, აშშ აგრძელებდა დახმარებების სერიებს საქართველოსათვის ურთულეს გარდამავალ პერიოდში. 1992 წლიდან 2002 წლის ჩათვლით, შტატების დახმარების საერთო თანხამ 1,2 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა. მარტო 2003 წელს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ აშშ-თან – 67,6 მლნ. დოლარი შეადგინა და ტერიტორიული სიშორის მიუხედავად, აშშ სტაბილურად ინარჩუნებს ადგილს საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორების პირველ ათულში (წყარო №26, ასევე №9-23, 27-29).

ამერიკული ბიზნესი არსებით სასიკეთო გავლენას ახდენს საქართველოს ელექტროენერგეტიკაზე, ნავთობისა და გაზის მოპოვება-

განაწილების საქმეზე, სატრანსპორტო სექტორზე, ტურიზმზე, აგროსამრეწველო კომპლექსზე, კომუნიკაციების ინფრასტრუქტურასა და კომპიუტერული მომსახურების სხვადასხვა სფეროებზე. საქართველო სარგებლობს აშშ-ს საბაჟო სისტემის შეღავათიანი (პრეფერენციული) მექანიზმებით, რაც მომავალში ქართული ბიზნესის განვითარების ხელსაყრელ პირობებს გვიქმნის.

ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანია აშშ-ს კერძო ბიზნესის დაზღვევის ასოციაციის თანადგომა “მერიოტის” 2 სასატუმრო კომპლექსის მოსაწყობად თბილისის ცენტრში, რამაც, თავის მხრივ, დაახლოებით 70 მლნ. აშშ დოლარის კაპდაბანდება მოითხოვა. ამერიკული ბიზნესის ხელშეწყობით მიმდინარეობს საქართველო-თურქეთის სარკინიგზო მიმოსვლის პროექტის რეალიზება, საერთოდ, საქართველოს, როგორც ევროაზიული სატრანსპორტო კვანძის, ფუნქციის გაძლიერება.

თავისი არსებობის არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, აშშ-ს ისტორიული კვალი კაცობრიობის საყოველთაო პროგრესში შთამბეჭდავია. კერძოდ:

1) ქვეყანამ არაერთხელ დაამტკიცა თავისუფლებისა და დემოკრატიის იდეებისადმი ერთგულება, მ.შ. ანტიფაშისტური

კოალიციის ორგანიზებასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსებაში მონაწილეობისას;

2) თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის მონეტარისტული მოდელითა და მინიმალური ჩარევის ფილოსოფიით მიღწეულ იქნა მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონე და ერთ-ერთი სამაგალითო პირობები;

3) უდიდესია კოსმოსის ათვისებისა და საერთოდ ტექნიკა-ტექნოლოგიების სრულყოფაში გაწეული წვლილი, რაც სახელმწიფოს გააზრებული ინოვაციური პოლიტიკით კერძო ინიციატივის სტიმულირების შედეგია;

4) მნიშვნელოვანი ფინანსურ-ინტელექტუალური დახმარებებით დაძლეულ იქნა სიღარიბის ურთულესი პრობლემები მრავალ განვითარებად ქვეყანაში;

5) ღრმავდება თანამშრომლობა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კურორტებისა და სპორტის საერთაშორისო პროექტების რეალიზებისათვის, მსოფლიო ბაზრის განვითარების ობიექტურ პროცესში ურთიერთხელსაყრელი ეკონომიკური კავშირების განმტკიცებისათვის;

6) მიმდინარეობს მუშაობა უსაფრთხოების საყოველთაო თავდაცვითი სისტემის შექმნისათვის, მასობრივი განადგურების იარაღის შემცირებისა და გავრცელების აღკვეთის ეფექტური კონტროლისათვის;

7) სხვადასხვა რეჟიმებით, ტერორიზმითა და სტიქიური უბედურებებით დაზარალებულ ქვეყნებს საჭირო თანადგომა გაეწევათ.

საქართველოს ხელისუფლების მხრივ, აშშ-თან თანამშრომლობის მეტი ეფექტიანობისათვის, მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

1) ეკონომიკური პროექტების შემუშავებისა და რეალიზებისას, მაქსიმალურად გავითვალისწინოთ ადგილობრივი სპეციფიკა. შემოთავაზებული წინადადებების „ბრმად“ გაზიარება არც შემომთავაზებელი მხარის ინტერესებში შედის – პროექტის სპონსორი ხომ სრულყოფილად ვერ ერკვევა ჩვენი ეკონომიკისათვის სახასიათო ნიუანსებში, რის გამოც შესაძლებელია საბოლოო შედეგმა იზარალოს;

2) ზუსტად (ყოველმხრივ დასაბუთებულად) განისაზღვროს თანამშრომლობის პრიორიტეტები. მხოლოდ მომგებიანობის კრიტერიუმით შეფასებამ შესაძლებელია სტრატეგიაში სერიოზული ზიანი მიაყენოს ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და ეკონომიკის სტრუქტურულ სიმწიფეს.

3) ჩრდილოვანი ეკონომიკის წინააღმდეგ აგორებული უაღრესად საჭირო საყოველთაო პოლიტიკა შემდგომაც უნდა გაძლიერდეს მისი გამოვლენისა და მინიმიზების მექანიზმების სრულყოფის საფუძველზე, რითაც მსხვილი ამერიკელი ინვესტორების მეტ ნდობასაც დავიმსახურებთ და ჩვენთან ეკონომიკურ თანამშრომლობასაც მეტ მიმზიდველობას მივანიჭებთ.

აშშ ნამდვილად სამაგალითო ქვეყანაა ეკონომიკის ზომიერი ლიბერალიზების საქმეში. საგადასახადო პოლიტიკის უახლესი ისტორია გვიჩვენებს, რომ გადასახადების დიდი განაკვეთები ძალიან ამახინჯებენ შრომისა და დაზოგვის სტიმულებს [28, გვ. 341, 739]. აშშ მაქსიმალურად იყენებს საგადასახადო შეღავათების შესაძლებლობას საერთაშორისო ვაჭრობაში. აღსანიშნავია, რომ მის პრეფერენციულ სავაჭრო რეჟიმში მოქცეული საქონელი ხშირ შემთხვევაში მთლიანად თავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან, რაც ამ ქვეყნის საბაჟო-სატარიფო განაკვეთების გათვალისწინებით, საკმაოდ ძლიერი შეღავათია. ახალი სქემის მიხედვით, ძალზედ გაფართოვდა პრეფერენციებით მოცული საქონლის ჩამონათვალი. აღნიშნული საქონლის ნომენკლატურა განსაკუთრებით გაიზარდა საჭარის უდაბნოს

რაიონში მდებარე ყველაზე დაბალგანვითარებული აფრიკული ქვეყნებისათვის [27, გვ. 11].

ამერიკის შეერთებულ შტატებთან და საერთოდ მსოფლიო ბაზართან თანამშრომლობის შესაძლო იდეალური (სასურველი) ვარიანტი, აუცილებელია, შორეულ სტრატეგიაშიც მოვიანზოთ:

- 1) თავისუფალი ეკონომიკური ურთიერთობების სივრცის გაფართოების კვალობაზე, გამოთანაბრდება ცხოვრების დონე, სიღარიბის დაძლევაზე ქვეყნები ერთობლივად იფიქრებენ;
- 2) უმუშევრობა დროებითი სენი იქნება ნებისმიერი მოქალაქისათვის – საერთო ძალისხმევით მისი მოგვარება რამდენიმე კვირაში (მაქსიმუმ ერთ თვეში) მოხერხდება;
- 3) გაერთიანებული ძალისხმევით იწარმოებს სახელმწიფოებრივი ბრძოლა სხვადასხვა კრიმინალურ გამოვლინებათა (ტერორიზმი, ნარკომანია, პროსტიტუცია, ქურდობა, თუ სხვა) წინააღმდეგ.

იდეალური ვარიანტის უზრუნველყოფა, რა თქმა უნდა, ღვთის ნებას წარმოადგენს. ჩვენის მხრივ, აშშ-თან, ეკონომიკურად მაღალგანვითარებულ სხვა ქვეყნებთან ერთად, მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ თამამად ვიმოქმედოთ ზემოხსენებული სტრატეგიული

მიმართულებების რეალიზებისათვის, საქართველოს ეკონომიკისა და ჭეშმარიტი რწმენის გასაძლიერებლად.

როგორც ამერიკელი მართლმადიდებელი დიაკვანი ლევიდ ჯეიმსი მართებულად ქადაგებს, ყველას კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ „ძირეულ ცხოვრებისეულ საკითხებზე ამომწურავი პასუხის გაცემა მხოლოდ ეკლესიას ძალუძს. ეს, რა თქმა უნდა, ფულთან, ქონებასთან და მის მოხმარებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც ეხება“ [8, გვ. 5]. ამასთან, ვფიქრობ, ისევ საჭიროდ და საფრთხილოდ ხაზგასასმელია საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის პოზიცია: ”გლობალიზაცია არის გარდაუვალი მოვლენა და იგი უკავშირდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განვითარებას. შეიძლება ითქვას, რომ მთელი მსოფლიო გახდა გლობალური. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დიდმა ქვეყნებმა უნდა შთანთქან მცირე ქვეყნების კულტურები, სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი, რათა შეიქმნას ერთიანი და უსახო კულტურა. ზოგს ჰგონია, თითქოს მცირე ერების სულიერი თუ ეროვნული ფასეულობანი ქმნის კონფლიქტს და დაპირისპირებას, რაც შესაძლოა მტრობასა და შუღლში გადაიზარდოს. სინამდვილეში ეს სულაც არ არის ასე. ეს ფასეულობანი, მათი მრავალფეროვნება, პირიქით ამდიდრებს მსოფლიოს... ცივილიზაციათა

შორის დიალოგი აუცილებელია და საქართველოც აქტიურად უჭერს მხარს მას” [6, გვერდი 55].

გლობალიზების პროცესების გააქტიურებასთან ერთად, ეკონომიკურ ლიტერატურაში სულ უფრო მეტი ადგილი ეთმობა გლობალიზების პროცესებისა და სახელმწიფოს ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებული მრავალმხრივი კავშირების კვლევას, რაც, ბუნებრივია, რეგიონის ზომის პრობლემატიკასაც მოიცავს. აღნიშნულ საკითხებზე საინტერესო კვლევებს აწარმოებენ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველი ეკონომისტები პროფ. ე. მექვაბიშვილისა და პროფ. ე. ბარათაშვილის ხელმძღვანელობით.

ჩატარებული კვლებიდან ირკვევა, რომ ეკონომიკაში ხშირად ურთიერთგამომრიცხავი (პარადოქსალური) პროცესებიც კი მიმდინარეობს. ამ მიმართებით, აღსანიშნავია ცნობილი რუსი მეცნიერების ა. ილარიონოვისა და ვ. ტამბოვცევის შრომები (იხილეთ: ილარიონოვი ა. პივოვაროვა ნ. სახელმწიფოს ზომები და ეკონომიკური ზრდა. – ჟურნალი “ვოპროსი ეკონომიკი”, 2002, №9, გვ. 18-45; ტამბოვცევი ვ. ეკონომიკური ზრდისა და სახელმწიფოს ზომების

შესახებ. – ჟურნალი “ვოპროსი ეკონომიკი”, 2003, №6, გვ. 119-121), რომლებიც იკვლევენ და აზოგადებენ პოსტსაბჭოთა სინამდვილეში დაგროვილ გამოცდილებას აღნიშნულთან დაკავშირებით და ცდილობენ დაადგინონ მისი ლოგიკური კავშირი ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების სპეციფიკასთან მიმართებაში. საჭიროდ ვთვლით მოგაწოდოთ რუს მეცნიერთა დასახელებული შრომების ძირითადი შედეგები შესაბამის თეორიულ განზოგადებებთან ერთად.

1. ა. ილარიონოვისა და ა. პივოვაროვას შრომის შედეგები:

ა) სახელმწიფოს ზომებში უპირველასად იგულისხმება შეფარდებითი მაჩვენებლები, მ.შ. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა ხვედრი წონა დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების ხვედრი წონა მთლიან ეროვნულ აქტივებში, სახელმწიფო საწარმოებში წარმოებული პროდუქციის ხვედრი წონა წარმოების ერთობლივ მოცულობაში, სახელმწიფო ინვესტიციების ხვედრი წონა ეროვნულ ინვესტიციებში, სახელმწიფო ხარჯების ხვედრი წონა მთლიან შიდა პროდუქტში. “სახელმწიფოს ზომების” კონტექსტი გაცილებით იშვიათად გამოიყენება აბსოლუტური მაჩვენებლების შემთხვევაში, მ.შ., როგორც სახელმწიფო მოსამსახურეთა რაოდენობა, შეიარაღებულ ჯარებში დასაქმებულთა

რაოდენობა, სახელმწიფო აქტივების აბსოლუტური მოცულობა, სახელმწიფო ხარჯების რაოდენობრივი სიდიდე (დამეთანხმებით, რომ აუცილებლად დასამატებელია მთლიანი ეროვნული და შიდა პროდუქტების აბსოლუტური მაჩვენებლებიც, ასევე, წარმოების კონცენტრაციის შეფასებანი სხვადასხვა ასპექტში. რ.ლ.).

ბ) კვლევის პროცესში წამოიჭრა რამდენიმე საკვანძო შეკითხვა. კერძოდ: არსებობს, თუ არა მდგრადი კავშირი სახელმწიფოს ზომებსა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის? აღნიშნული კავშირი წრფივია, თუ არა? თუ წრფივია, როგორია მისი ნიშანი? თუ არაა წრფივი, რა ფორმისაა აღნიშნული კავშირი? როგორია მისი შესაძლო გამოვლინებანი პოლარულად განსხვავებულ პირობებში? არსებობს, თუ არა ეკონომიკური ზრდის ტემპების მაქსიმიზაციის უზრუნველმყოფი სახელმწიფოს ოპტიმალური ზომა? თუ არსებობს, როგორია მისი პარამეტრები? რა რეკომენდაციები შეიძლება შევთავაზოთ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს სახელმწიფოს სასურველი (ოპტიმალური) ზომების თვალსაზრისით?

გ) სახელმწიფოს ზომასა და ეკონომიკურ ზრდას შორის დამყარებული უარყოფითი კავშირის შესახებ მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაში შეიძლება აღინიშნოს კ. ბოლონიას, რ. ვედერის, ჯ.

პორტნის, რ. სტროუპის, ჯ. გვარტნის, ა. ალესინას, რ. ბაროს, ჯ. ლის, უ. ლის, უ. ლოსერის, უ. ბიჩის, დ. ბეგის, ჩ. ვიპლოზის, ს. კომანდერის, დ. ჰამიდის, ე. ენგენის, ჯ. სკინერის, მ. უოლკერის, კ. გრიერის, ფ. გროსმანის, ჯ. გვარტნის, რ. ლაუსონის, უ. ბლოუკის, ქ. ედვარდსის, უ. პარკის, ვ. დე რუგეს, ს. უოგის, რ. ჰიგსის, მ. როთბარდის, ვ. ტანზის, ლ. შუკნეტიის, რ. ვედერისა და ჩ. ვულფის შრომები. ზოგიერთ შრომაში შემოთავაზებულია სახელმწიფოს ფაქტიური ზომების შემცირება ოპტიმალურ დონემდე (მ.შ. აღინიშნება რ. რანის, ჯ. ჩაოს, ჰ. გრუბელის, ს. გუფთას, დ. მიტჩელის, შ. ჩაკრაგარტის, ლ. შუკნეტიისა და დ. სმითის შრომები). ზოგიერთი ავტორი (ფ. ჯერსონი, ს. ფიშერი, რ. თელბოთი) კი სახელმწიფოს ზომასა და ეკონომიკური ზრდის ტემპებს შორის მდგრადი უარყოფითი კავშირის არსებობას საერთოდ სათუოდ მიიჩნევენ. აღნიშნული სტატიის ავტორი (იგულისხმება ა. ილარიონოვი) ემხრობა უარყოფითი კავშირის მიმდევართა შეხედულებებს, რასაც ასაბუთებს საშუალო განვითარების ქვეყნების და, კერძოდ, რუსეთის მაგალითზე. რუსულ ეკონომიკურ დისკუსიაში აღნიშნულ მიდგომას უახლოეს წარსულამდე კრიტიკულად აფასებდნენ (ლ. აბალკინი, ა. ბელჩუკი, ლ. ფრიდმანი, ბ. ვალენტინოვი, ე. გავრილენკოვი, ე. გაიდარი, ს. გლაზევი, რ.

გრინბერგი, ვ. პოპოვი, ო. ჩერკოვეცი), უკანასკნელ ხანებში კი შედარებით გაძლიერდა ის თეორიული მიმართულება, რომელიც ეწინააღმდეგება სახელმწიფოს დატვირთვის (ზომების) შემდგომმა ტემპს (ე. გავრილენკოვი, ე. გაიდარი, ვ. მაუ, ა. უსტინოვი, ე. იასინი).

დ) ემპირიული ანალიზის ჩასატარებლად საჭირო იყო სახელმწიფოს ზომის მთავარი მაჩვენებლის შერჩევა. მთლიან შიდა პროდუქტში სახელმწიფო მოხმარების ხვედრი წონის მაჩვენებელი ერთ-ერთი ყველაზე მოსახერხებელია საერთაშორისო შესადარისობის თვალსაზრისით (იხილეთ რ. ბაროსა და ქ. სალაი-მარტინის შრომები), მაგრამ იგი არ ითვალისწინებს მთლიან სახელმწიფო ხარჯებს.

ამდენად, ავტორი შეჩერდა მთლიან შიდა პროდუქტში სწორედ მთლიანი სახელმწიფო ხარჯების ხვედრი წონის მაჩვენებელზე, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყნის მთელ საბიუჯეტო სისტემას, მ.შ. ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ ბიუჯეტებს, ასევე არასაბიუჯეტო ფონდებს. შესაბამისი გაანგარიშებანი შესრულდა ეკონომიკური ანალიზის ინსტიტუტში საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკური მასალების საფუძველზე.

ე) განსაკუთრებით მყარი უარყოფითი დამოკიდებულების სტატისტიკური კანონზომიერება აჩვენა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 24 ქვეყანაში 1960-2000 წლების მონაცემებზე ჩატარებულმა 94-მა დაკვირვებამ. სახელმწიფო ხარჯებისა და ეკონომიკური ზრდის მოდელმა შემდეგი სახე მიიღო: მშპ-ს საშუალოწლიური მატების ტემპი $= -0,097$ მშპ-ში სახელმწიფო ხარჯების პროცენტი $+7,326$. მისანიშნებელია, რომ სახელმწიფოს ზომას ყველაზე უკეთესად აღწერს ეკონომიკური განვითარების დონე (ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ლოგარითმი მსყიდველუნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით), რაც შეესაბამება ვაგნერის ცნობილ კანონს. სახელმწიფოს ზომაზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენენ: ქვეყნის მსოფლიო ოკეანეში გასასვლელის არსებობა, სასოფლოსამეურნეო მიწებით უზრუნველყოფის დონე, მოსახლეობის სიმჭიდროვე, მოსახლეობის დივერსიფიცირება რელიგიური კუთვნილების მიხედვით, მშპ-ს აბსოლუტური ზომები, ნავთობის ექსპორტი და იმპორტი, ქვეყნის ადმინისტრაციული დაყოფა, ინფლაციისა და ვაჭრობის ინდექსები.

ვ) ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით 166 ქვეყანა დაჯგუფდა სამ ნაწილად: სუსტადგანვითარებული (3000 აშშ

დოლარზე ნაკლები მშპ ერთ სულ მოსახლეზე), საშუალოგანვითარებული (3000-9000) და მაღალგანვითარებული (9000-ზე მეტი) ქვეყნები; მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით – 4 ნაწილად: უმცირესი (1 მლნ.-ზე ნაკლები), მცირე (1-5 მლნ.), საშუალო (5-20 მლნ.) და დიდი (20 მლნ-ზე მეტი) ქვეყნები. მიღებული 12 ჯგუფის (დაწყებული უმცირესი სუსტადგანვითარებული ჯგუფიდან) ყოველ ერთეულში განთავსდა 6-დან 30-მდე ქვეყანა. ანალიზმა აჩვენა, რომ ეკონომიკური განვითარების დონის ზრდასთან ერთად საბიუჯეტო პოლიტიკა სულ უფრო ხარისხიანი (შედეგიანი) ხდება, ხოლო მოსახლეობის ზრდასთან ერთად სახელმწიფოს ზომებში შეინიშნება შემცირების ტენდენცია. კონკრეტულად, მოსახლეობის დიდი რაოდენობისა და საშუალო განვითარების ქვეყნების ჯგუფისათვის (რომელშიც რუსეთი შედის) ოპტიმალური გამოდგა მშპ-ში მთლიანი ხარჯების 20,9 %-იანი ზღვარი, ხოლო კრიტიკული – 36 %. ოპტიმალურის გადამეტებისას ზრდის ტემპები მცირდება, კრიტიკულის შემთხვევაში – ნულს უტოლდება, ხოლო კრიტიკულის გადამეტებისას, როგორც წესი, იწყება ეკონომიკური ვარდნა. უმცირეს ქვეყნებში კი აღინიშნება საწინააღმდეგო ტენდენციები, როცა

სახელმწიფოს ზომების მატება ეკონომიკური ზრდის ტემპების მატების პარალელურად მიმდინარეობს.

ზ) პროგნოზული სცენარების ანალიზისას, ნაშრომში კეთდება დასკვნა, რომ 2015 წლისათვის, რუსეთში სახელმწიფო ხარჯების 34,9-დან 40 პროცენტამდე გადიდების შემთხვევაში (მშპ-თან მიმართებაში), ეკონომიკის საშუალოწლიური მატების ტემპი, შესაძლოა, მხოლოდ უმნიშვნელოდ გადააჭარბებს კრიტიკულ ნულოვან ბარიერს.

2. ვ. ტამბოვცევის შრომაში სათუოდ მიიჩნევა ა. ილარიონოვისა და ა. პიგოვაროვას შემოხსენებული დასკვნები. ავტორი აუცილებლობად თვლის ეკონომიკური თეორიის ჰიპოტეტური ბაზის ფორმირებას და მხოლოდ აღნიშნულის შემდგომ მის დასაბუთებას ეკონომიკურ-მათემატიკური ანალიზის მრავალფაქტორული (და არა ცალმხრივი) ანალიზით, რაც, თავის მხრივ. გაანგარიშებათა საიმედოობის უფრო მისაღები მაჩვენებლებით (იგულისხმება მაღალი დეტერმინიზებისა და მცირე ავტოკორელაციური ნარჩენების ინდექსები) უნდა ხასიათდებოდეს.

მოგეხსენებათ, საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაკუთრებით აქტუალური პრობლემაა ენერგეტიკა. საყოველთაოდ

ცნობილია, რომ ენერგეტიკა სახელმწიფოებრივი ძლიერების ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია. რატომღაც, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციიდან წამოსული არასწორი “გამაფრთხილებელი” რეკომენდაციით, დამოუკიდებლობის პირობებში პრიორიტეტი ქსელების რეაბილიტაციას უნდა მინიჭებოდა და არა გენერაციას. ბუნებრივია, ქვეყანა რაც უფრო მეტ ენერგიას მოიხმარს (რა თქმა უნდა, გონივრულად), მით უფრო განვითარებულია იგი. საქართველოში რაც “რეაბილიტაციაზე” დაიხარჯა, გენერაციას რომ მოხმარებოდა, უმრავლესი პრობლემა უკვე მოიხსნებოდა. საერთოდ, როგორც ცნობილია, ჰიდროსადგურები იაფ ელექტროენერგიას შეიმუშვებენ, მაგრამ მათ მშენებლობაზე, თბოცენტრალებთან შედარებით, მეტი იხარჯება (საშუალოდ კი, 1 მგვტ სიმძლავრის მწყობრში შეყვანა, ექსპერტული შეფასებით, 1 მლნ. აშშ დოლარამდე ჯდება). 2,5-3 ათასი მეგავატი საქართველოს ნორმალური განვითარების კალაპოტში ჩააყენებს (ამჟამად, ისევ ექსპერტული შეფასებით, აღნიშნულის მხოლოდ 30-40 პროცენტი გვაქვს, რაც, სეზონურობის გაუთვალისწინებლად, თითქმის თანაბრადაა მიღებული ენერგიის ჰიდრო და თბოწყაროებიდან. მინიმალურადაც არაა გამოყენებული ქარისა და მზის ენერგია, ვთქვათ, ეკოლოგიურად სუფთა და იაფი, შესაძლოა,

მასობრივი ოჯახური მინიბატარების სახით). ამასთან, მისანიშნებელია, რომ მოსახლეობის საჭიროებებზე მხოლოდ მეათედია აუცილებელი განვითარებულ ინდუსტრიალ კომპლექსთან შედარებით. ჩვენი პრიორიტეტი მხოლოდ მსხვილი ინდუსტრია არ უნდა იყოს, მაგრამ ტურიზმს, სოფელსა და მსუბუქ ინდუსტრისაც საკმაოდ ესაჭიროებათ სასიცოცხლო ენერჯია.

როგორც ადრე აღვნიშნე, აუცილებელია ხელფასების მატების პერმანენტული ქრონომეტრაჟი. ინფლაციაზე ზომიერად გადამეტებული ხელფასები მოთხოვნის მატების საფუძველია, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკის ცალკეული დარგების განვითარების გარკვეულწილად აუცილებელი სტიმულია. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაგალითისათვის, შუქს (ნებისმიერ სხვა პროდუქციასაც) მყიდველი ნაკლები ეყოლება და გადასახადის ამოღების დონეც არ გაიზრდება.

ყველა დროში არანაკლებ აქტუალურია საკადრო პოლიტიკის ეფექტიანობა. ხშირი იძულებითი ცვლებადობა ადვილად სამართავს ხდის მცოდნესა და არასპეციალისტსაც. კარგი გაგებით “კარიერული” საფეხურების სტიმული აუცილებელია საჯარო სამსახურის ჯარისკაცებისათვის. მაგრამ, თუ ვინმე დიდად დააშავებს ღმერთისა და სამშობლოს წინაშე, ის სამაგალითოდ უნდა დავითხოვოთ. საჯარო

მოხელეს, საპენსიო ასაკის მიღწევის შემდეგ, დანაზოგით სამედიცინო გამოკვლევების, მოგზაურობისა და მარტივი ბიზნესით საქმიანობის საშუალება უნდა ჰქონდეს, ლაპარაკი არაა ელემენტარულ საბინაო პირობებსა, თუ ზოგიერთი ფუფუნების საგნებზე.

პერმანენტული შიდასამართლებრივი მოწესრიგებისათვის წამოწყებული ურთულესი ბრძოლა თუ გვიშველის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერც თავისუფლებასა და ვერც დემოკრატიას გავხდით რეალურს. აშშ და რუსეთი სიმკაცრეს რომ არ იჩენდნენ ტერორიზმის წინააღმდეგ, მათ სახელმწიფოებრიობას კარგა ხანია დიდი საფრთხე შეექმნებოდა. სხვანაირად, ვერც დიდ კავშირებში შევალთ სრულუფლებიან წევრად და ვერც მათ სიკეთეს გამოვიყენებთ საჭიროდ და სრულად. კანონიერი რეგულირების მოთხოვნას მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის გარემოპირობებთან კონტექსტში მოვიაზრებ.

საბჭოთა იმპერიის რღვევამ, სამწუხაროდ, არასასურველი შედეგები გამოიწვია “საბჭოთა” იაფი და მასობრივი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გამოცემის საქმეშიც. საქართველო ისტორიულად სიბრძნისა და, შესაბამისად, უნიკალური დამწერლობის ქვეყანაა. აქ განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება უწიგნურობის ყოველი

გამოვლინება, რაც, ბუნებრივია, წიგნადი პროდუქციის რეალიზების არსებით შემცირებას უცილობლად მრავლად ახლავს. ჩვენი აზრით, წიგნის შემდგომი გაძვირების თავიდან აცილების მიზნით, აუცილებელია დამატებითი საგადასახადო ლიბერალიზება წიგნადი პროდუქციის შექმნისა და გავრცელების ყველა სტადიაზე. წიგნის გამოცემა, შესაძლოა, სწრაფ ეკონომიკურ უკუგებას არ იძლეოდეს, მაგრამ ის ხომ უდიდეს სარგებელს გვაძლევს საბოლოო სტრატეგიაში. ამდენად, დარწმუნებული ვართ, ყველა მოაზროვნე ადამიანი დამეთანხმება (და მართლაც ასეა ცივილიზებულ მსოფლიოში), განვითარებაზე პრეტენზიის მქონე სახელმწიფომ საჭირო (კარგი) წიგნის გამოცემის საქმე აუცილებელ კონტროლსა და მეურვეობაზე უნდა აიყვანოს.

§ 3. საერთაშორისო კონკურენციის პოლიტეკონომიკური ფაქტორები

მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით, უნდა დავანყნაროთ გლობალიზების მოშიშრები, რომ გლობალიზების პროცესი უსასრულო არ იყო და მისი კონტურები უკვე შემოიხაზა ინტერნეტის შექმნასთან ერთად. მისი სივრცობრივი გავრცელების მასშტაბები ფაქტობრივად დასრულდა. მსოფლიო ერთი დიდი ოჯახია და ის ფართობით ხომ მეტად ვეღარ გაიზრდება. აქ უპრიანი იქნებოდა საქართველოს პატრიარქის ქადაგების მოყვანა, სადაც ეს უშიშარი და უნიჭიერესი მოძღვარი ბრძანებს, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევეუბნდეთ და პირიქით, უნდა გამოვიყენოთ მისი სიკეთეები.

აქ ერთ გარემოებაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ზოგი თვლის, რომ სხვადასხვა კავშირებისა და ქვეყნების რღვევაც უსასრულო პროცესია. არამც და არამც. როგორც ბუნებაში თანაარსებობენ დიდი და მცირე არსებები, ასევეა სახელმწიფოებრივ მონყობაში. უბრალოდ, შესაძლებელია, რომ ქვეყანა, რომელიც რეაქციული ბუნებითა და ეკონომიკური დაკაბალებით თავს აბეზრებს დანარჩენ მსოფლიოს, ის აუცილებლად გაქრება უფლის მფარველობის არეალიდან. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გაქრობის საფრთხე იმ მცირე ქვეყნებსაც ემუქრება, რომლებიც ვერ გამოიჩინეს შეკავშირების უნარებს.

კონკურენცია - ობიექტური ინსტიქტი

კონკურენცია შეჯიბრია, რომელიც ინსტიქტურად იწყებს მოქმედებას ნებისმიერი ორი სუბიექტის ურთიერთობისას. ეს ინსტიქტი აიძულებს ორივე სუბიექტს იყოს მეტად მონესრიგებული, რათა გაიმარჯვოს ხსენებულ შეჯიბრში. ეს ინსტიქტი მოქმედებს ოჯახის წევრებს შორისაც კი და რა თქმა უნდა საერთაშორისო დონეზეც - ნებისმიერ სხვადასხვა ქვეყანას შორის.

ცდება ის, ვინც ცდილობს დათრგუნოს კონკურენცია ან ვერ ხედავს მის არსებობას. უფრო მართებულია ის, ვინც შეიცნობს ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედ ამ ობიექტურ რეალობას და ცდილობს სასარგებლოდ გამოიყენოს მისი უპირატესობები და უმკურნალოს შესაძლო გართულებებს.

კონკურენციის ურთიერთობები პოლიტიკასთან

ობიექტური კონკურენცია დიდ გავლენას ახდენს პოლიტიკაზე და, პირიქითაც, პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონკურენციის თავისუფლების ხარისხს. საერთაშორისო კონკურენცია, ბუნებრივია, გამწავების პერიოდებში ომებსა და კატასტროფებსაც იწვევს და სწორედ

ამიტომ აუცილებელი ამ პროცესების ღრმად გააზრება და შესაძლოდ მკურნალობა.

ობიექტური კონკურენტული გარემო პოლიტიკაში ანუ ჭეშმარიტი დემოკრატია უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკური სისტემის არსებობას, რომელიც ხალხის ნებასურვილს გამოხატავს, შეესაბამება ხალხის ხასიათსა და განწყობილებებს და ამ ხალხის შესაძლოდ საუკეთესო განვითარების პირობებსაც ქმნის.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში კონკურენციის თავისუფლების ხარისხის გააზრებისას, ბუნებრივია, იბადება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რამდენად უსასრულო და მიზანშეწონილია სახელმწიფოებისა და მათში ფუნქციონირებადი პარტიების რაოდენობის ზრდა.

კონკურენციის კანონის წარმოდგენილი მათემატიკური ალგორითმის მიხედვით, კონკურენციის მოქმედების ეფექტი მინიმალურია, როცა ერთპარტიულ სისტემასთან გვაქვს საქმე (მაშინ კონკურენციის დიდ წინააღმდეგობასთან - პოლიტიკურ მონოპოლიასთან გვაქვს საქმე). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ პარტიათა (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რიცხვის გადაჭარბებული რაოდენობა არანაკლებად ცუდ (ქაოსურ) შედეგს იძლევა და მრავალრიცხოვანი (ზედმინწევით დაქსაქსული) და, ამდენად, მცირე წინააღმდეგობით გამოწვეული კონკურენციის

ძალის ძალზე მაღალმა მუხტმა, შესაძლოა, „მოკლე ჩართვის“ ეფექტის მსგავსად დამანგრეველად იმოქმედოს პოლიტიკურ სისტემაზე. გამომდინარე ხსენებულიდან, პოლიტიკური პარტიების (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რაოდენობა ოპტიმალური უნდა იყოს და მათი თავისუფლება არ უნდა გულისხმობდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და გლობალური განვითარებისათვის ზნეობრივად შეუთავსებელი პარტიების დაწესების შესაძლებლობასა თუ სხვა მსგავსი სიტუაციების დაშვებას, რაც აუცილებლად უნდა იზღუდებოდეს კანონმდებლობით. მონოპოლიის წარმოქმნის პროცესებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არც ქაოსის დაშვება შეიძლება.

კონკურენცია და თანამედროვე ეკონომიკური პროცესები

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს წარმოების საშუალებების განსაზოგადოების პროცესი და იქმნება სულ უფრო მსხვილი სამრეწველო და სხვა ეკონომიკური ობიექტები, რომლებიც მრავალი სახელმწიფოს საზღვარს სცილდება და ისინი სულ უფრო მეტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე ახდენენ მზარდ გავლენას. ამ პირობებში, ბუნებრივია, საწარმოს და საერთოდ ეკონომიკური ობიექტის ზომის გაგება შეიცვალა. გასულ საუკუნეში და უფრო ადრე, თუ საწარმო

მსხვილ ობიექტად შეიძლება ჩათვლილიყო, ახლა მისი მასშტაბები შეიძლება საშუალო სანარმოს კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებდეს. ასევეა მონოპოლიურობის თვალსაზრისითაც. ადრინდელი მონოპოლისტების მასშტაბები დღესდღეობით ნამდვილად არ წარმოადგენს მონოპოლიურს თითქმის არცერთ ერთგვაროვანი პროდუქციისა და მომსახურების ბაზარზე. თუმცა, როგორც გამონაკლისი, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს განსაზოგადოების საპირისპირო პროცესი - მსხვილი ობიექტების დანაწევრება-პრივატიზება არ დასრულებულა და მონოპოლიები აქ არცთუისე დიდი მახასიათებლებით გამოირჩევიან საერთაშორისო კრიტერიუმებთან მიმართებაში.

კონკურენციის კანონი და პოლიტიკის ეფექტიანობა

საკმაო ხანია, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების მხარდასაჭერად, ჩემი დიდი ინტერესისა და დაკვირვების საგანს წარმოადგენს კონკურენციისა და ეფექტიანობის საკითხების შესწავლა და ამ მხრივ კონკურენციის ჩემი კანონიც გამოვაქვეყნე და ევროკავშირის ფორმულირებას განვაფიქრე, რომელიც, ჩემდა საბედნიეროდ, საერთაშორისო ექსპერტთა უმნიშვნელოვანეს წრეებში იქნა აპრობირებული.

პოლიტიკის ეფექტიანობა, მოგეხსენებათ, ხალხის სანყის ემოციურ აღიარებაში გამოიხატება, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტიანობით უნდა დადასტურდეს. ზოგს ჰგონია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკა აბსოლუტურად თავისუფალია, რაც არ და არც უნდა წარმოადგენდეს სინამდვილეს. უფრო მეტიც, წარმოების საშუალებების განსაზოგადოებასთან ერთად, სახელმწიფო რეგულირება აქ სულ უფრო მატულობას და ანტიმონოპოლიური რეგულირებაც სულ უფრო მკაცრი და აქტუალური ხდება. ჯანდაცვისა და სოცუმზრუნველყოფის თანამედროვე რეფორმები კი წამყვანი ეკონომიკური ლიდერების ეკონომიკურ სისტემებს სულ უფრო სოცილარი ბაზრის ელფერს აძლევს.

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი (ჰერფინდალ-ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი HHI) შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რამაც, საუკეთესო შემთხვევაში, 1000-ს არ უნდა გადააჭარბოს. ელემენტარული გაანგარიშებით, ასეთი სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, როცა ერთგვაროვანი პროდუქციის ბაზარზე ერთ-ერთი ფირმის წილი 31 პროცენტს გადაამეტებს,

ყველაზე მაღალკონცენტრირებულ ბაზრებზე კი ეს წილი 45-50 პროცენტსაც აჭარბებს.

საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიების) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს მსოფლიოში, თუმცა ეს მეთოდები, ბუნებრივია, როგორც აღინიშნა და თვალსაჩინოდ ვხედავთ კაპიტალისტური ურთიერთობების თანამედროვე საერთაშორისო კრიზისებიდან, სრულად ვერ ითვალისწინებს ვერც საკუთარ და ვერც ჩვენს სპეციფიკას. მაშასადამე, შესაძლებელია დარწმუნებით დავასკვნათ, რომ, საჭიროა სხვადასხვა გონივრული ხერხისა და მექანიზმის კომპლექსური გამოყენება.

ზემოაღნიშნულისათვის, ლორთქიფანიძის ეკონომიკური კონკურენციის კანონი ობიექტური რეალობის გარკვეულ განზოგადებას წარმოადგენს და, როგორც მათემატიკური ალგორითმი გვიჩვენებს, ეკონომიკის ზოგადთეორიული პრინციპების სახით შესაძლებელია განვმარტოთ, რომ, რაც უფრო მეტია ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) ბაზარზე საერთო მიწოდება და მიმწოდებელთა რაოდენობა და ნაკლებია უმსხვილესი მიმწოდებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) მიწოდება და არარეალიზებული პროდუქციის საერთო ოდენობა, მით მეტია ეკონომიკური კონკურენციის ძალის მნიშვნელობა და, შესაბამისად, უფრო თავისუფალია ხსენებული ბაზარი. შემოთავაზებული ეკონომიკური კონკურენციის კანონით

შესაძლებელია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ბაზრების თავისუფლების ხარისხიც შევაფასოთ.

არარეალიზებული პროდუქციის სიჭარბე მიგვანიშნებს, ძირითადად, მოთხოვნილებებთან და მოთხოვნასთან შეუსაბამო დაბალხარისხიანი ან, პირიქით, ზედმეტად ძვირადღირებული (სუპერფეშენებლური) ან მონოპოლიურად გაძვირებული პროდუქციის არსებობას, რაც უმთავრესად გამომწვეულია შედარებით დაბალი ფინანსური ტევადობის ბაზარზე იმ მონოპოლიების არსებობით, ვინც არაკეთილსინდისიერად მოიპოვა მონოპოლია ან მონოპოლიური მდგომარეობის ნიჭიერად მიღწევის შემდეგ, როგორც მონოპოლისტი, ზედმეტად ზრდის ფასებს მონოპოლიური ზემოგების მიღების მიზნით.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, როცა არარეალიზებული პროდუქცია შესაძლებელია ჭარბწარმოების კრიზისების დროსაც აღმოცენდეს და ამ შემთხვევაში მონოპოლიების ბრალეულობა შეიძლება ნაკლები ან საერთოდ არ იყოს. ასეთი ჭარბწარმოების დროს წარმოების ოდენობა სტიქიურად ზედმიწევნით გაზრდილია, მაშასადამე, წარმოების მატების დონეც დაკვირვებას და ოპტიმიზებას საჭიროებს და კონკურენციის ძალაც, შესაბამისად, გადაჭარბებით არ უნდა გაიზარდოს.

კონკურენციის ძალის შეფასების ინტეგრალური კოეფიციენტი, როგორც აღვნიშნეთ 150-ზე ნაკლები არ უნდა იყოს, თუმცა, ზედა ზღვარსაც

დაკვირვება უნდა და ქვეყნის მასშტაბებიდან და სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, რაც მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის პერიოდულად დამატებით კომპლექსურ შესწავლას საჭიროებს, K-ს მნიშვნელობა მეტნაკლებად 1000-ს არ უნდა აღემატებოდეს. ბუნებრივია, დამატებითი სპეციფიკური გარემოებების გამოვლენისას, საჭიროა, გავითვალისწინოთ ბუნებრივი მონოპოლიების შესაძლო არსებობა ეკონომიკის ზოგიერთ სუპერმეცნიერებატევად დარგსა და ქვედარგში, მ.შ. მსხვილ ენერგეტიკაში, კოსმოსურ პროცესებზე დაკვირვების რადიოლოკაციური სისტემებში, მსხვილ მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და ქიმიურ ინდუსტრიაში, რომლებიც მცირე ქვეყნებსა და რეგიონებში, ბუნებრივია, მრავლად ვერ იქნება და სახელმწიფო მეთვალყურეობასა და რეგულირებას მეტად საჭიროებს.

სამწუხაროდ, ზოგი საკმაოდ ნიჭიერი ოპონენტი თვლის, რომ ანტი-მონოპოლიური რეგულირება საერთოდ არ არის საჭირო, ვინაიდან, მისი ორგანო ხშირ შემთხვევაში კორუფციის ბუდე ხდება და ხელს შეუშლის წარმატებულ მენარმეებს. ყოველთვის საინტერესოა ღირსეულ ოპონენტებთან კამათი და შესაბამისად საჭირო კომპრომისების მიღწევა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენს ოპონენტებს ვერასგზით დავეთანხმები. მათებურად რომ ვითქვით, გასაუქმებელი იქნებოდა გარკვეულ პერიოდებში ისტორიულად კორუმპირებულობით ცნობილი საბაჟო და საგადასახადო სამსახურებიც (რომლებსაც, გარკვეულ შემთხვევებში,

ანტიმონოპოლიურის პორალურად განსხვავებული ინტერესებიც შეიძლება ჰქონდეს მსხვილი გადამხდელების მატების სახით), მაგრამ ეს შეუძლებელია და დაუშვებელია.

თუ კეთილსინდისიერი მენარმე თავისი ნიჭიერებით (უნარით) ხდება მონოპოლისტი ბაზარზე, ანტიმონოპოლიური ორგანო, მართალია, არ უნდა უშლიდეს მენარმეს შემდგომშიც გამოავლინოს თავისი წარმატებული უპირატესობა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს მონოპოლისტს, რომ მონოპოლიურმა უპირატესობამ არ დააზიანოს ბაზარი და არ გამოიწვიოს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების ზედმიწევნით გაძვირება ან ხელოვნური დეფიციტი და ბაზარზე დიქტატორული პირობების კარნახი.

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანდასახულობას მაღალკონკურენტული ეკონომიკის ზღვრული ეფექტიანობის ჩვენი თეორიის დასაბუთება წარმოადგენს (აუცილებელი ქრისტიანული და პოლიტიკური საფუძვლების მოხმობით). ამ მზნიდან გამომდინარე, ევროკავშირის კომისიის ექსპერტთა მიდგომის განვითარებით, ჩემს მიერ შემოთავაზებულ იქნა ე.წ. ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასება, რომელიც მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს როგორც რენტაბელური დარგების წასახალისებლად ბაზრის ფინანსური ტევადობის გაზრდისათვის, ეკონომიკური სტრუქტურის (მ.შ. ტერიტორიული, დარგობრივი, ასაკობრივი, სახეობრივი-

ტექნოლოგიური, აღწარმოებითი და სხვ.), ასევე ეკონომიკური ეფექტიანობის დადებითი გავლენის ამაღლებისა და ხარჯების შესაძლო ხელოვნური გაბერვის მაკროეკონომიკური ტენდენციების აცილების მიზნით, განსაკუთრებით, კრიზისული მოვლენების გამწვავების დროს:

$$E = \sum_{i=1;2;\dots;n} [(E_{io}+E_{it})/2] \Delta a_i;$$

სადაც, E – სტრუქტურის ეფექტიანობაა დროის t მონაკვეთში;

E_{io} – სტრუქტურის შემადგენელი i -ური ელემენტის საწყისი ეფექტიანობაა;

E_{it} – სტრუქტურის შემადგენელი i -ური ელემენტის ეფექტიანობაა t მონაკვეთის დასასრულისათვის;

Δa_i – გამოყენებული რესურსის სტრუქტურის შემადგენელი i -ური ელემენტის ხვედრინონის ცვლილებაა დროის t მონაკვეთში;

$i=1;2;\dots;n$ – სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი (დარგი, რეგიონი, ასაკობრივი, სახეობრივი ჯგუფი ან სხვ.).

ხარჯების მატების გამო ეკონომიკის განსაკუთრებით სწრაფი განვითარების აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, დამატებითი სტიმულები მივცეთ სტრუქტურის ეფექტიან შემადგენლებს (და არა გამოუყენებელ წამგებიანებს, რაც ხარჯების დამატებით გადიდებას გამოიწვევს ისედაც შეზღუდულ პირობებში), რათა მათი შემოსავლების ხარჯზე დავანინაუროთ ჩამორჩენილი ელემენტებიც (მ.შ. საჭირო ფინანსირებით დავეხმაროთ ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელ კრიზისულ დარგებს, უმუშევრებსა და

უმწეო ავადმყოფებს). ასეთ დროს, ზემოაღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანობა აუცილებლად დადებით ნიშნულზე უნდა დაფიქსირდეს, ამასთანავე, არსებითი მატების ტენდენციით.

პოლიტიკაშიც, ბუნებრივია, მხარი უნდა დაუჭიროთ იმ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელიც უანგაროდ ზრუნავს ხალხის ცხოვრების დონის არსებითი ამაღლებისათვის და აღიარებულ ღვთისნიერ გულწრფელობასა და სამართლიანობასთან ერთად არგუმენტირებული და სანდო გრძელვადიანი ეკონომიკური პროგრამებით გამოირჩევა.

კონკურენცია თუ ტექნიკური პროგრესი?

სამყაროს მართებულად შეცნობისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია კითხვის მართებულად დასმა, რითაც სკოლამდელი ბავშვებიც გვაკვირვებენ ხოლმე. პასუხისათვის აზრის მართებულად განვითარება კი მანამდე ამოუცნობ სამყაროში სწრაფად გარკვევის საშუალებას გვაძლევს. ჩვენს შემთხვევაში, ვცდილობთ გავერკვიოთ საკითხში - რომელია უფრო მნიშვნელოვანი, მაღალკონკურენტული ბაზარი გვექონდეს თუ ტექნიკური პროგრესით დაწინაურებული წარმოებისათვის ვიზრუნოთ. ბუნებრივია, ორივე მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მაგრამ მაინც, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა ქვეყანაში დიდი მეცნიერული აღმოჩენის წყალობით ტექნიკურ პროგრესში ნახტომისებური (რევოლუციური) წინსვლის საშუალება გვეძლევა, მაგრამ ეს აღმოჩენა ბოროტ მონოპოლისტს ჩაუვარდა ხელში, რომელიც მხოლოდ მონოპოლიური მოგების მიღებაზე ფიქრობს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება უმნიშვნელო იქნება აღმოჩენის მასშტაბებთან შედარებით, ხოლო უარეს შემთხვევაში, შესაძლოა, რეაქციული გამოვლინებების ეპოქაც დადგეს.

ახლაკი, მეორე სიტუაცია განვიხილოთ. თუ ქვეყანაში მაღალკონკურენტული ბაზარია, ბუნებრივია, აქ ტექნიკური პროგრესის განმავითარებელ დარგებსაც ეძლევათ სტიმულები და ნიჭიერებაზეც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა. აქ ტექნიკური ინფორმაციის მოპოვების გარემო მაქსიმალურად გამჭვირვალეა და მისი განვითარება-გავრცელებაც შესაძლოდ სწრაფად ხორციელდება.

მაშასადამე, სახეზეა დასკვნა: უპირველესად ბაზრის მაღალკონკურენტულობაზე უნდა ვიზრუნოთ, რისთვისაც შესაბამისი კომპეტენტური და მობილური (ნაკლებხარჯტევადი) ინსტიტუტები უნდა ფუნქციონირებდნენ.

ჭეშმარიტი კონკურენცია ინფლაციის, უმუშევრობისა და სიღარიბის წინააღმდეგ

როგორც ცნობილია, ზოგ დიდ ეკონომისტთან, ინფლაციის გარკვეული ზრდა უმუშევრობის შემცირებას იწვევს. საკვალიფიკაციო კვლევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით, ფილიფსის მიმდევართა ეკონომიკური მემკვიდრეობის განზოგადებისა და თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით დამატებითი არგუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი გრაფიკული ინტერპრეტაციაც წარმოვადგინე. ჩვენი ღრმა რწმენითა, ჭეშმარიტი კონკურენციის შემთხვევაში, უმუშევრობის შემცირება ინფლაციის შემცირების პარალელურადაც შეიძლება მიმდინარეობდეს.

მართალია, ფასების მატება მეტი ხელფასების გაცემის საშუალებას იძლევა, რაც მოჩვენებით ზრდის დასაქმებას, მაგრამ ასეთი მატება ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს. ფასი უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე მეტია, მაგრამ მისი გადაჭარბებული ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლიებისა და ფარული ბიუროკრატიული შეზღუდვების არსებობაზე მიგვანიშნებს. საბაზრო ნაკადებისა და ადამიანების მოძრაობაზე ასეთი შეზღუდვების შესაძლო მინიმიზება და კონკურენტული გარემოს არსებობა ეკონომიკაში ფასების გამოთანაბრებასა და წონასწორობას

უზრუნველყოფს, რაც სიმდიდრის ხელოვნური ზეპოლარიზებისა და სიღარიბის შემაკავებელია.

კონკურენცია და კორუფცია

კონკურენციის არარსებობა სწორედ ყველაზე მეტად არაკომპეტენტურ და, შესაბამისად, კორუფციისაკენ მიდრეკილებად კადრებს აწყობთ. კონკურენცია არ იკბინება, ის ეხმარება ადამიანებს მასობრივ დასაქმებაში, მაგრამ სწორედ კორუმპირებული ადამიანების მცდელობებით, ისეთი "კონკურენტული" პირობებიც ვრცელდება, რომ ადამიანები კომპლექსდებიან და ფრთხილობენ ასეთ არარეალურ კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა.

კონკურენცია, მარკეტინგული კვლევები და მენეჯმენტი

მარკეტინგი, როგორც ბაზარზე ადამიანთა საზოგადოებისა და კონკრეტულად ყოველი ადამიანის მოთხოვნილებების უკეთ უზრუნველყოფის შემსწავლელი ხელოვნება, რაც არ უნდა მაღალპროფესიული იყოს, ვერაფერს მოახერხებს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია და მონოპოლისტი დიდ გავლენას ახდენს ფასების

დონეზე. კონკურენტულ ბაზარზე კი ფასები ვერც მონოპოლიურ კარნახს ექვემდებარება ზრდის მიმართულებით და ვერც შენიღბულად მცირდება, რის შედეგადაც, გონივრული მარკეტინგული არგუმენტები და ზომიერი რეკლამა მაქსიმალურად უზრუნველყოფს ბაზრის პოტენციალის ამოქმედებასა და მატერიალური მარაგებისა და საქონლისა და მომსახურების შესაძლოდ ეფექტიან მოძრაობას. ასევეა მენეჯმენტის შემთხვევაშიც. ეკონომიკური სუბიექტის მმართველი რაც არ უნდა გამჭრიახი და შორსმხედველი სტრატეგი იყოს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია, მისი ქმედებები სტაბილური შემოსავლებისა და ადეკვატური მოგების მომცემი ვერაფრით ვერ იქნება.

§ 4. ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის ფაქტორები

ცხოვრების ორი ზემოაღნიშნული შემადგენელი (დონე და ხანგრძლივობა) დამოუკიდებელი (ნაკლებადდაკავშირებული) კანონზომიერებებით შეიძლება დავახასიათოთ და საერთო (მსგავსი) ზემოქმედების ფაქტორებითა და გამოვლინების მახასიათებლებითაც შეიძლება აიხსნას.

დამოუკიდებელი მოქმედების ეფექტები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცხოვრების ეკონომიკური და კლიმატური ჯგუფის მაჩვენებლებით შეფასებისას. თუ ცხოვრების დონეს უცილობლად და უპირველესად ეკონომიკური შემოსავლების დონე განსაზღვრავს (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე გადაანგარიშებით, საშუალო ხელფასის დონე, საშუალო ხელფასის ფარდობა უმნიშვნელოვანესი პროდუქციისა და მომსახურების ფასებთან და სხვ.), ხანგრძლივობა, მეტწილად, კლიმატურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

მაგალითისათვის, კავკასიის რეგიონი, მ.შ. საქართველო, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრიზისული პირობების გამო, ცხოვრების დონე უკიდურესად დაეცა და მსოფლიოში ბოლო ადგილზეც კი დავიდა, ჩვენი ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყანა (განსაკუთრებით მისი მთიანი

რეგიონები) ისევე მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებდა მსოფლიოში ხანდაზმულთა (90 წელზე მეტი ასაკის ადამიანები) რაოდენობით, მ.შ. 100 და 110 წელზე მეტი ასაკის ადამიანების შედარებითი მოჭარბების შემთხვევებით.

ბუნებრივი ფაქტორების პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის მაჩვენებლები არ ზემოქმედებს ცხოვრების ხანგრძლივობაზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად იაპონია გამოდგება, სადაც მიწისძვრებისა და სხვა დაძაბული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, განსაკუთრებით მაღალი შემოსავლებისა და ცხოვრების წესის სახასიათო თავისებურებები განაპირობებს, რომ იაპონია ასევე განსაკუთრებით გამოირჩევა ხანდაზმულთა რაოდენობით.

მრავალფაქტორული დაკვირვების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების დონესა და ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვანწილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების კომპლექსი მოქმედებს და ცხოვრების ამ ორივე მაჩვენებლის განსაკუთრებული პარამეტრებით გამოირჩევა მხოლოდ რაოდენობრივად და ხარისხობრივად თვალსაჩინო ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყნების (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ჩინეთი და სხვ.) ცალკეული დარგები და რეგიონები.

სსენებულის კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი ქვეყნები (მ.შ. განსაკუთრებით - აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში), რომლებიც გამოირჩევა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და სასარგებლო წიაღისეული მარაგებით, ჯერ კიდევ დინასტიურად დიქტატორული რეჟიმების გამო, როცა არ არსებობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული და ეკონომიკური გარემოს ეფექტიანი კონკურენციული საფუძვლები, ხოლო გამოცხადებულია სახალხო კეთილდღეობა (რა თქმა უნდა მოჩვენებითი) და ბაზრების შესახებ ინფორმაციის წვდომისა და დოვლათის განაწილების გამჭვირვალე მექანიზმები (რა თქმა უნდა ასევე მოჩვენებითი და დეფორმირებული), რეალურად, ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის უმდაბლეს დონეებს ავლენს, მაშინ, როცა, ამ ქვეყნებიდან ემიგრირებული ნიჭიერი მოსახლეობა, ცივილურ ქვეყნებში საუკეთესო პარამეტრებს აღწევს.

ცხოვრების ხანგრძლივობის სპეციფიკური არაეკონომიკური ფაქტორებიდან, საჭიროა აღინიშნოს ეკოლოგიური გარემოებანი (წყალი, ჰაერი, კვების პროდუქტები, ზომიერი ტემპერატურა, ბუნების სხვა რაციონალური ანუ არაექსტრემალური პირობები), მოსახლეობის ორგანიზებულობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, შრომისა და სრულფასოვანი დასვენების ხანგრძლივობა და სხვ.

საქართველოს სინამდვილისათვის ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე საუკეთესო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებია ადამიანის ბედნიერი არსებობისათვის და ჩვენმა მოსახლეობამ, თავისი ღვთისნიერი ბუნებითა და ორგანიზებულობით, ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მაგალითებიც უნდა აჩვენოს. აღნიშნულის უხვი პოტენციალი არსებობს და, ძალზე კარგია, რომ მის დაკვირვებასა და გაუმჯობესებაში მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებაცაა დაინტერესებული.

იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება იღონოს მთავრობამ ამ მიმართებით მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისათვის. უმთავრესად, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაბუთებული და მენარმეების მიმართ არამოჩვენებითი და კეთილგანწყობილი ეკონომიკური პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონომიკის რეკლამირების გზით, ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალური მობილიზება ეფექტიან უპირატესობათა დამატებითი სტიმულირებისათვის და მიღებული შემოსავლების გონივრული განაწილება უმუშევართა და ავადმყოფთა დასახმარებლად.

დასკვნისათვის

წარმოდგენილი კვლევის მთავარ მიზნდასახელობას მაღალკონკურენტული ეკონომიკის ზღვრული ეფექტიანობის ჩვენი თეორიის დასაბუთება იყო ამისათვის აუცილებელი ქრისტიანული და პოლიტიკური საფუძვლების მოხმობით. თუ როგორ მოვახერხეთ აღნიშნული, მკითხველისათვის მიგვინდია განსახილველად. კვლევა, ბუნებრივია, გრძელდება და მოხარული ვიქნებით შენიშვნებისა და რეკომენდაციებისათვის (არსებობის შემთხვევაში).

გამოყენებული წყაროები

1. ახალი აღთქმაი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი (გამოცემული უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს კურთხევითა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და რეცენზირების დეპარტამენტის რეცენზირებით). – თბილისი, ალილო-ბაკმი, 2005.
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ლოცვა-კურთხევით შესრულებული ძველბერძნულიდან თარგმნის რედაქცია). – სტოკჰოლმი, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი, 1990.
3. Библия (Книги Священного Писания Ветхого и Нового Завета). – Братство во имя Святых Равноапостольных Кирилла и Мефодия, 2004.
4. Православный Библейский словарь: 2000 лет Христианству. – Санкт-Петербург, Северо-Западная Библейская Комиссия, 1997.
5. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ

(შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი). – თბილისი, გეოკერია, 2004.

6. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ხელოვნების შესახებ (შემდგენელ-გამომცემელი – გიორგი შიხაშვილი). – თბილისი, გეოკერია, 2004.

7. ეპისკოპოსი ალექსანდრე, მართლმადიდებლური კატეხიზმო. – თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, 2004.

8. ჯეიმსი დ. გულუხვობის შესახებ (ქრისტიანი და ფული). – თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტი, 2003.

9. Matthew J. Dickoinson, Andrew Rudalevige, Reviziting the “Golden Age” at the Bureau of the Budget. – New York, Political Science Quarterly, Vol. 119, Number 4, Winter, 2004-05, P.633-654.

10. John Mueller, What Was the Cold War About? Evidebce from Its Ending. – NY, PSQ, Vol. 119, Number 4, Winter, 2004-05, P.609-632.

11. Daniel W. Drezner, The Global Governance of the Internet: Bringing the State Back In. – NY, PSQ, Vol. 119, Number 3, Fall 2004, P.477-498.

12. Caroline J.Tolbert, Direct Democracy and Institutional Realignment in the American States. – NY, PSQ, Fall, 2003.

13. US Government Assistance to and Cooperative Activities with Eurasia. Fiscal year 2001. US Department of State. Wash., March 2002.

<http://www.state.gov/documents/organization/17714>. США – КЭПК, 2003, №11, а. პარკანსკის შრომა, с.63-67.

14. Politic-economical Informations about The USA, RF and EU from Internet.

15. Ермилов А.П. Макроэкономическое прогнозирование в США. - Новосибирск, Наука, 1987, 271 с.

16. Бабинцев В. США: приоритеты НТП (научно-техническая политика и стратегия). - Москва, Наука, 1988, 184 с.

17. Барановский К.Ю., Комкова Е.Г. Вокруг американо-канадско-мексиканского соглашения о свободной торговле. - США: экономика, политика, идеология, 1991, № 5, с. 73-77.

18. Гребенщиков Э.С. АСЕАН, США и Россия - новые тихоокеанские партнеры. - США: экономика, политика, идеология, 1992, № 12, с. 3-12.

19. Фразье М. Рэн Р. Возможности создания зоны свободного предпринимательства в Болгарии. - Вопросы экономики, 1991, № 10, с. 115-125 (перепечатка из “Journal of Economic Growth”, 1990, December. Vol.4, № 3).

20. Финансирование НИОКР в США (из Business Week. - 1998, 31 May, P.17). - Экономика и управление в зарубежных странах. -Москва, ВИНТИ, 1998, №10, с.5-6.
21. Овчинников Г.П. Международная экономика. – СПб, Полиус, 1998.
22. Емельянов Е.Б. Торговый дефицит США на современном этапе: проблемы и решения, США – КЭПК, 2003, №12, с. 48.
23. Парканский А.Б. Американо – Грузинские экономические отношения сегодня и завтра, США – КЭПК, 2003, №11, с. 57.
24. ქართველ მეცნიერ-ეკონომისტთა შრომები (სამეცნიერო-საარქივო ფონდებიდან), აგრეთვე Труды Института экономики РАН и СПбГУ, სადაც ავტორი გადიოდა დოქტორანტურის კურსს.
25. მსოფლიო ციფრებში. – თბილისი სიახლე, 2000.
26. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა 2003 წელში. – თბილისი, საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004.
27. პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა შ . – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, საქართველოს სავაჭრო პოლიტიკისა და სამართლის ცენტრი, 2002.

28. მენქიუ გ. ეკონომიკის პრინციპები. – თბილისი, დიოგენე, 2000.
29. რონალდ რეიგანი და 1980-იანი წლების ამერიკა. – თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
30. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი. – თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”, 2005.
31. ლორთქიფანიძე რევაზ. ეკონომიკის თეორიული საფუძვლები. – ბათუმი, სამართლის ინსტიტუტი, 2000.
32. ლორთქიფანიძე რევაზ, ძოწენიძე დავით, რუსიშვილი თამარ, გავაშელიშვილი თამთა, კეთილდღეობის თეორია და რეკოლუციური რეფორმირების ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე თვალთახედვა (ლექციების კურსი). – თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
33. ლორთქიფანიძე რევაზ, ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული გავლენა მსოფლიო ბაზრისა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. – ამერიკის შესწავლის საკითხები: კრებული, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.
34. ლორთქიფანიძე რ. განმარტებები კონკურენციის კანონის, ევროკომისიის ფორმულის განვითარებისა და მაკროსტაბილურობის

სტრატეგიულ საკითხებზე. - www.education.ge, ელექტრონული ჟურნალი, საზოგადოებრივი მეცნიერებები, ეკონომიკა, 2012, 16 თებერვალი.

35. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. – თბილისი, 2007.

36. სასაქანლო ბაზრებზე კონკურენტული გარემოს შეფასების მეთოდური რეკომენდაციები, თბილისი, საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახური, 1998.

37. <http://www.imf.org/external/data.htm>

38. <http://data.worldbank.org>

39. "Population". *Older Americans : Key indicators of Well-Being*. http://www.agingstats.gov/agingstatsdotnet/Main_Site/Data/Data_2008.aspx

40. Hooyman, N.R.; Kiyak, H.A. (2011). *Social gerontology: A multidisciplinary perspective* (9th ed.). Boston: Pearson Education. ISBN 0205763138.

41. ლორთქიფანიძე რ. საერთაშორისო კონკურენციის პოლიტეკონომიკური ფაქტორები. - თსუ პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული, 2012, გ. 255-269.

42. ლორთქიფანიძე რ. ევროკავშირის ფორმულირების განვითარება და ეკონომიკური კონკურენციის კანონი. - საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2012, N1, გ. 17-18.

ავტორის შესახებ

რევაზ ლორთქიფანიძე დაიბადა 1965 წლის 7 იანვარს, ოქროს მედალზე დაასრულა ბათუმის №1 საშუალო სკოლა, წარჩინებით – თსუ საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი. 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში, 1999 წელს – სადოქტორო დისერტაცია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტისა და სანქტ-პეტერბურგის სახელმწიფო უნივერსიტეტის მსოფლიო ეკონომიკის კათედრის დოქტორანტურების კურსის გავლის შემდეგ (ნოსტრიფიკაცია თსუ-ში 2005 წელს, სპეციალიზაცია 08.00.01 - ეკონომიქსი). 1998 წლიდან ნიუ-იორკის პოლიტიკურ მეცნიერებათა და სხვა საერთაშორისო აკადემიების წევრია. არის ევროკავშირის ექსპერტთა ფორმულირების განვითარების ავტორი ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობის მეთოდოლოგიის საკითხებში. სრულად ამოხსნა საერთაშორისო მათემატიკური ტესტი ეკონომისტებისათვის. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

შ ი ნ ა ა რ ს ი

§ 1. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული საფუძვლების საკითხისათვის -----	3
§ 2. ეკონომიკაზე პოლიტიკის გავლენის შესახებ: თანამედროვე პრაქტიკისა და თეორიის საკითხები -----	16
§ 3. საერთაშორისო კონკურენციის პოლიტეკონომიკური ფაქტორები -----	90
§ 4. ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის ფაქტორები -----	106
დასკვნისათვის -----	110
გამოყენებული წყაროები -----	111
ავტორის შესახებ -----	117